გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 48
(11 810)

18 – 21 ივნისი, 2004 წ.          ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## „ლელოს" დღევანდელი ნომრის მთავარი შეკითხვა:

ბავშვთა სპორტის სპეციალისტებთან სპორტის დეპარტამენტის საქტო დარბაზში შეხვედრისას, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრის სკოლამდელი აღზრდის, საშუალო განათლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსმა, თბილისის საკრებულოს წევრმა მიხეილ მინდაძემ განაცხადა, რომ „სამინისტროს პრიორიტეტად რჩება ბავშვთა სპორტი და კვლავ აღდგება მოზარდ სპორტსმენთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკებიც კი, ზაფხულის არდადეგების პერიოდში".

„ლელო" სვამს შეკითხვას:

წლეულს, 2004 წლის სასკოლო არდადეგების პერიოდში, რეალურად გაიხსნება თუ არა მოსწავლე-სპორტსმენთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი და თუ გაიხსნება, სად? რა კეთდება უკვე დღესვე საამისოდ?

## როცა შეკრებიდან შეჯიბრებაში ჩაერთვები

როგორც ადრე გაუწყეთ, პარიზში ფრანგებთან ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრები გუნდი. დამთავრდა შეკრება და უმალვე დაიწყო პარიზის საერთაშორისო ტურნირი. ასეთი ბედნიერება ყოველთვის როდია სპორტსმენთა თანამგზავრი. მზადყოფნის კულმინაციამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო — საქართველოდან ოთხი ფალავანი ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ერთიც მეორე და ერთიც მესამე პრიზიორი გახდა.

11 ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრებთან ჭიდილში ტურნირის ოქროს მედალი დაიმსახურეს ირაკლი ჩოჩუამ (55), მანუჩარ კვირკველიამ (66), მუხრან ვახტანგაძემ (96), რამაზ ნოზაძემ (120), ვერცხლის მედალი ხვდა აკაკი ჩაჩუას (66), ბრინჯაოსი — მირიან გიორგაძეს (120).

ჩვენს ნაკრებთან ერთად იყო უფროსი მწვრთნელი ბეგი დარჩია და მწვრთნელი ოთარ ტატიშვილი.

## „თქვენი ფედერაცია საუკეთესოა" — მეტი რაღა თქვას ფილა-ს პრეზიდენტმა?

როცა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციიდან (ფილა) საქართველოს ეროვნული ფედერაციის მისამართით ასეთ შეფასებას მოისმენ, აღარ უნდა გაგიკვირდეს, რომ სტუმარი, რომელმაც ეს სიტყვები წარმოთქვა, არც სხვა ქათინაურებს დაიშურებს მასპინძელთა მიმართ. თუმცა, ქათინაურები რა შუაშია, რაც სტუმარმა, ფილა-ს პრეზიდენტმა **რაფაელ მარტინეტმა** წარმოთქვა, ყველაფერი რეალურია და ობიექტური. საქართველოს მოჭიდავეთა სამყარო შედეგით იმსახურებს ქებათა-ქებას და არა სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტით.

მარტინეტი თბილისში შეხვდა არა მხოლოდ სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელს, არამედ, თვით ქვეყნის პრეზიდენტს. **მ. სააკაშვილთან** საუბარში ფილა-ს მესაჭემ დააკმაყოფილა ჩვენი პრეზიდენტის ცნობისმოყვარეობა და განაცხადა, რომ ქართველი ფალავნები, რომლებმაც თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 6-6 ოლიმპიური ლიცენზია დაიმსახურეს, ათენში 1-2 ოქროს მედალს მოიპოვებენ.

ფილა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჭიდაობა კარგავს აზარტულობას, აქედან გამომდინარე, მაყურებელსაც და სპონსორებსაც, საერთოდ, შემოსავალს. მარტინეტის განმარტებით, მომავალში უთუოდ გატარდება რეფორმა სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინებით და აქ ნამდვილად აქვს ქართველების იმედი ფილა-ს თავკაცს. იქ, ალმასკომში კი, მთლად რჩეულთა შორის რჩეული, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი ეყოლება გვერდით. ეს საკითხი, მარტინეტის თქმით, გადაწყვეტილია, რაც უდავოდ დიდი პატივია ჩვენთვის. ორდღიანი ვიზიტის შემდეგ მარტინეტი თბილისს დაემშვიდობა, მაგრამ დროებით. ამ შემოდგომაზე თბილისში იგი კვლავ გვეწვევა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო თასის გათამაშებაზე.

**სააგენტო „გუმათი"-„ლელო"**



სტუმარ-მასპინძლები (მარცხნიდან): ირაკლი მეძმარიაშვილი, ლერი ხაბელოვი, ჯანსუღ ბაგრატიონი, რაფაელ მარტინეტი და გოჩა ძასოხოვი.

*ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა*

### საქართველოს ქალთა 61-ე ჩემპიონატი ჭადრაკში

## გიწვევთ ჭადრაკის სასახლეში

ამ დღეებში (16-28 ივნისი) თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს ტრადიციულ, საქართველოს ქალთა 2004 წლის ჩემპიონატს ჭადრაკში. შეხვედრები მიმდინარეობს სასახლის საქტო დარბაზში, სადაც 500-ზე მეტ გულშემატკივარს შეუძლია ადევნოს

იხ. მე-2 გვ.

### გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე

## ფედერაცია ახლიდან აიწყო და დალაგდა

გუშინ, 17 ივნისს, ქართული ფეხბურთის უმთავრესი ორგანიზაცია მორიგ VII ყრილობაზე შეიკრიბა და მიმდინარე საქმიანობაზე იმსჯელა. ყრილობა სფფ-ს პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** გახსნა. სასტუმრო „მარიოტ ქორდ იარდის" კოხტა საქტო დარბაზში სხდომა დათქმულ დროს დაიწყო და საათნახევარში დამთავრდა. მუშაობის დაწყებამდე ყრილობის დელეგატებმა და დამსწრე საზოგადოებამ ფეხბურთში მოღვაწე გარდაცვლილ პიროვნებებს წუთიერი დუმილით პატივი მიაგო და მუშაობას შეუდგა. ყრილობის 41 დელეგატიდან სხდომას 36 დაესწრო. აირჩა სარედაქციო კომისია (ვალერი შალიკაშვილი, დურმიშხან ჩხაიძე, სულხან გოგიბერიძე), ხმის დამთვლელი კომისია (მურად ანჯაფარიძე, სერგო კოტრიკაძე, ვალერი მანაგაძე). სამანდატო კომისია (გოჩა როსტომაშვილი, ილია მჭედლიშვილი, დავით შარიქაძე). ყრილობამ დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე იმსჯელა. შესავალ სიტყვაში სფფ-ს პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** 2003 და 2004 წლების პირველი ნახევრის მუშაობა შეაფასა. ილაპარაკა იმაზე, თუ რა და როგორ განახორციელა სფფ-მ, დამსწრეთ გააცნო სამომავლო გეგმები და პროექტები.

სფფ-ს საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის გამართვის ვადამ ერთი წლით გადაიწია და გაიმართება ოთხ წელიწადში ერთხელ. ილაპარაკეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე და პროფლიგა სფფ-ს ასოცირებულ წევრად მიიღეს. დაამტკიცეს სფფ-ს 2003 წლის ფინანსური და აუდიტორული ანგარიში. ცვლილებები და დამატებები შეიტანეს სფფ-ს წესდებაში. შეიცვალა წესდების 1 მუხლი. დამტკიცდა სფფ-ს ახალი ლოგო. შესაბამისად შეიცვალა წესდების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატა 2.7. ქვეპუნქტი — „საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა". მე-7 მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სფფ-ში გაწევრიანების განაცხადი სფფ-ს აღმასრულებელ კომიტეტს/პრეზიდენტს წარედგინება წერილობითი ფორმით". გაუქმდა მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი. შეიცვალა მე-20 მუხლის პირველი პუნქტი. ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა წესდების 22-ე მუხლის 1 პუნქტი — ყრილობის დელეგატთა მთლიანი რაოდენობა განისაზღვრა 47 დელეგატით. განისაზღვრა სფფ-ს სუბიექტების მიერ დელეგატებად წარმოდგენილ პირთა რაოდენობა. წესდების 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი ახლა ასეთი შინაარსისაა: „სფფ-ს სტრუქტურას ამტკიცებს სფფ-ს აღმასრულებელი კომიტეტი". 54-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით, ყველა გადაწყვეტილება და სანქცია შეიძლება გასაჩივრდეს სფფ-ს სააპელ-

იხ. მე-3 გვ.



ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა.



### ევროპის 2004 წლის ჩემპიონატი

## გამარჯვებულთა აღლუმი გადაიდო






ჯგუფური ეტაპის მეორე ტური „ა" ჯგუფის წარჩინებულმა, პირველი მატჩების მომგებმა ბერძნებმა და ესპანელებმა დაიწყეს. მატჩს პირველი მეოთხედფინალისტი უნდა დაესახელებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. შეხვედრა ფრედ დასრულდა. ბერძნებმა ტურნირის მეორე ფავორიტიც მოიცილეს და იმ შედეგს მიაღწიეს, რომელმაც ისინი ცხრილში ისევ პირველ ადგილზე დატოვა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. უფრო ხშირად ესპანელები უტევდნენ, ბერძნები მწვავე კონტრშეტევით პასუხობდნენ და თითქმის ერთ საათში მეტოქეებმა გოლებიც გაცვალეს. პორტუგალიელებმა არანაკლებ მძაფრ ბრძოლაში დაძლიეს რუსეთის წინააღმდეგობა, მოიგეს და ახლა მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან დაწინაურებულ მეტოქეებს. ფრემ საქმე გაურთულა ესპანელებს. მათ მესამე ტურში მასპინძლებთან მოუწევთ გაჯიბრება, ბერძნები კი უმოტივაციო რუსეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ჯგუფში ვითარება დაიძაბა, ყველაფერს ბოლო მატჩები გადაწყვეტს, მანამდე კი საკმაოდ თანაბარი დონის ჯგუფში არაფერია გარკვეული, გარდა ერთისა, რუსეთის ნაკრები შინ გაემგზავრება.






### გაგაცნობთ მატჩებისა და ტელერეპორტაჟების განრიგს:

**18 ივნისი, პარასკევი**
21.00 ბულგარეთი — დანია (ბრაგა) — I არხი
23.45 იტალია — შვედეთი — (პორტუ) — რუსთავი-2

**19 ივნისი, შაბათი**
21.00 ლატვია — გერმანია (პორტუ) — I არხი
23.45 ჰოლანდია — ჩეხეთი (ავეირუ) — რუსთავი-2

**20 ივნისი, კვირა**
23.45 ესპანეთი — პორტუგალია (ლისაბონი) — I არხი
23.45 რუსეთი — საბერძნეთი (ფარუ) — რუსთავი-2

**21 ივნისი, ორშაბათი**
23.45 ხორვატია — ინგლისი (ლისაბონი) — I არხი
23.45 შვეიცარია — საფრანგეთი (კოიმბრა) — რუსთავი-2

**22 ივნისი, სამშაბათი**
23.45 იტალია — ბულგარეთი (გიმარაეში) — I არხი
23.45 დანია — შვედეთი (პორტუ) — რუსთავი-2

**23 ივნისი, ოთხშაბათი**
23.45 ჰოლანდია — ლატვია (ბრაგა) — I არხი
23.45 გერმანია — ჩეხეთი (ლისაბონი) — რუსთავი-2

| № | „ა" ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტუგალია | | 1-2 | | 2-0 | | | | | | |
| 2 | საბერძნეთი | 2-1 | | 1-1 | | | | | | | |
| 3 | ესპანეთი | | 1-1 | | 1-0 | | | | | | |
| 4 | რუსეთი | 0-2 | | 0-1 | | | | | | | |

| № | „ბ" ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფრანგეთი | | 2-1 | | 2-2 | | | | | | |
| 2 | ინგლისი | 1-2 | | 3-0 | | | | | | | |
| 3 | შვეიცარია | | 0-3 | | 0-0 | | | | | | |
| 4 | ხორვატია | 2-2 | | 0-0 | | | | | | | |

| № | „ც" ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შვედეთი | | 5-0 | | | | | | | | |
| 2 | ბულგარეთი | 0-5 | | | | | | | | | |
| 3 | დანია | | | | 0-0 | | | | | | |
| 4 | იტალია | | | 0-0 | | | | | | | |

| № | „დ" ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩეხეთი | | 2-1 | | | | | | | | |
| 2 | ლატვია | 1-2 | | | | | | | | | |
| 3 | გერმანია | | | | 1-1 | | | | | | |
| 4 | ჰოლანდია | | | 1-1 | | | | | | | |

გამოიწერეთ „ლელო" 2004 წლის მეორე ნახევრისათვის

ჩვენთან, ხალხში, დღესაც დადის ლეგენდა თუ ნამდვილი ამბავი იმის შესახებ, რომ სამცხის ათაბაგი ყვარყვარე ჯაყელი ოსმალეთის სულთნის დაჟინებული თხოვნით მის უძლეველ ფალავანს დაჭიდებია და დაუმარცხებია კიდეც. ოსმალეთის მბრძანებელს სულგრძელად დაუფასებია გურჯის ვაჟკაცობა.

შეკითხვა „ლელოს"

გთხოვთ, თუ შესაძლებელია დაგვიდასტუროთ ან უარყოთ ეს ისტორიული ამბავი.

ნ. ცინაძე, ასპინძა.

პასუხი: ჯერ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ათაბაგის თანამდებობა. ათაბაგი ისტორიულად სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდება იყო. დიახ, ის, რაც ხალხში შემორჩენილა, სინამდვილეა და არა ლეგენდა. რედაქციის არქივში შემორჩენილია წარსულში ცნობილი მკვლევარის ვახტანგ სიდამონიძის მონათხრობი, რომელიც ამომწურავ პასუხს იძლევა თქვენთვის საინტერესო საკითხზე. აი, ისიც.

# სამცხის ათაბაგი სტამბულის ასპარეზზე

XVI საუკუნის 80-იან წლებში ოსმალეთის სულთან მურად მესამის მიწვევით სტამბულში ჩავიდნენ სამცხის ათაბაგი ყვარყვარე ჯაყელი და მისი ძმა მანუჩარი, რომელთაც დიდი ამალა ახლდათ. სულთანმა ძმები კარგად მიიღო და დიდი პატივი მიაგო. მოლაპარაკება რომ დამთავრდა, სულთანმა ყვარყვარეს უთხრა: რასაც მე შენ გთხოვ, როგორც სამცხის ათაბაგს, იმაზე ცივ უარს მეუბნები, მაშ სხვა სათხოვარი შემისრულე.

ვიცი, რომ შენ, თუმცა ათაბაგი ხარ, საქართველოში ფალავანთა ფალავანს გეძახიან. მე ეს გამიგია, მაგრამ შენი ჭიდაობა კი ჯერ არ მინახავს. თუ პატივს დამდებ და ჩემს ფალავანს დაეჭიდები, დიდად კმაყოფილი დაგრჩები და მემახსოვრებაო.

ყვარყვარე ჯაყელმა სულთნის თხოვნა ჯერ შორს დაიჭირა.

მაგრამ, როცა სულთანმა თხოვნა ისევ გაუმეორა, ყვარყვარე თავის ძმას და ამალის წევრებს მოეთათბირა. ზოგი ამბობდა: აბა, რა საკადრისია ათაბაგი საჭიდაო ასპარეზზე გავიდესო; სხვები, და მათ შორის მანუჩარიც, ფიქრობდნენ, სჯობს მასპინძელს ჩვენი ვაჟკაცობა ვუჩვენოთ, ლაჩრები არ ვეგონოთო.

მართალი ხართო, უთხრა ყვარყვარემ, რატომ უნდა ეგონოთ ამ ურჯულო თათრებს, ქართველი კაცი ჯაბანი და მშიშარაა და ჭიდაობაზე უარს ამბობსო? ათაბაგმა თავისი ძმის პირით სულთანს შეუთვალა: თქვენი თხოვნა ჩემთვის საპატიოა და თანახმა ვარ თქვენს ფალავანს დავეჭიდოო.

სულთანი გახარებული დარჩა და ბრძანა სარბიელი მოეწყოთ, — მთელი სერალი ჭიდაობაზე მოვიდესო.

საჭიდაოდ გამოვიდნენ: სულთნის ფალავანთა ფალავანი, რომელსაც მთელს ოსმალეთში მოჭიდავე არ დარჩენოდა დაუმარცხებელი, და ყვარყვარე ჯაყელი, თვალებბრიალა, ბეჭბრტყელი, მოსული ვაჟკაცი.

პირველ მისვლაზე ორივე ფალავანი ფრთხილობდა, მაგრამ მალე ერთმანეთს შეუპოვრად ეძგერნენ. ყვარყვარემ უმალ ქართული ჭიდაობის ილეთი გამოიყენა და შუაკაურით ბეჭზე დასცა განთქმული ფალავანი. მასპინძელთაგან ბევრი კვლავ მეტოქეთა დაჭიდებას მოითხოვდა, მაგრამ სულთანმა ხელი ასწია და გამოაცხადა: ყვარყვარეს გამარჯვება საეჭვო არ არისო. ასპარეზობაც ამით დამთავრდა.

სულთანმა ყვარყვარე და მანუჩარი დიდი პატივით გამოისტუმრა სამშობლოში.

ვახტანგ სიდამონიძე.




# ონი

ბავშვთა სპორტულმა სკოლამ ჩაატარა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა სპორტის 8 სახეობაში. კომპლექსურ ჩათვლაში შედიოდა 6 სახეობის შედეგები. სპარტაკიადა დაიხურა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებით. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 23 კგ — ალეკო სამხარაძე, 26 კგ — გიგო მაისურაძე, 29 კგ — ირაკლი ხიდეშელი, 59 კგ — ირაკლი კაკრიაშვილი (ყველა — ღარის სკ), 32 კგ — ვახტანგ გაგნიძე, 38 კგ — ზვიად მაისურაძე, 42 კგ — ირაკლი ჯიშიაშვილი, 53 კგ — ირაკლი გამყრელიძე, 66 კგ — დათო გოგრიჭიანი, 73 კგ — მიშიკო მაისურაძე (ყველა — ონის სკ), 35 კგ: ვალერი გონგაძე (შეუბნის სკ), 47 კგ — გიორგი ლობჟანიძე (ღების სკ).

ყველაზე პერსპექტიულ მოჭიდავედ დასახელდა ვახტანგ გაგნიძე, საუკეთესოდ სცნეს ზვიად მაისურაძე. ორივე სპორტსმენი სპეციალური პრიზებით დააჯილდოვა შპს „ალბას" დირექტორმა ავთანდილ დაუშვილმა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ონის სკოლა (დირექტორი — მაყვალა ჩაფარიძე, ფიზაღზრდის მასწ. გია ცისკარაული და გოჩა ბერუჩაშვილი), 2. სოფ. ღარის საბაზო სკოლა (დირ. ავთანდილ ცხვედიანი, ფიზ. აღზრდის მასწავლებელი დავით სამხარაძე), 3. სოფ. სორის სკოლა (დირ. მარკოზ კერვალიშვილი, ფიზ. აღზრდის მასწავლებელი ილო ტყეშელაშვილი).

რომან კირვალიძე,
ონის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი.

# თბილისი

დიღომში ოლიმპიური მზადების ცენტრის საჭიდაო დარბაზში დასრულდა კადეტთა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. წონით კატეგორიებში გამარჯვებულები არიან: 42 კგ — ლევან კირკიტაძე (თბილისი), 46 კგ — გიორგი ჩხაიძე (ოზურგეთი), 50 კგ — ლაშა გოგიტიძე (ქუთაისი), 54 კგ — გური კვერღელაძე (ოზურგეთი), 58 კგ — გოდერძი დავითიძე (აჭარა), 63 კგ — ირაკლი ფიფაიშვილი, 69 კგ — ბექა როყვა (ოზურგეთი), 76 კგ — სერგო ნინუა (ქუთაისი), 85 კგ — შალვა სულაბერიძე (აჭარა) და 100 კგ — გურამ ხელია (რუსთავი).

თვალსაჩინოა ოზურგეთელთა წარმატებები, როგორც ჩანს, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონების ვახტანგ ბლაგიძისა და მანუჩარ კვირკველიას მშობლიურ ოზურგეთში კვლავ გრძელდება სპორტული ტალანტების ძიება. თანაც, აქაურები, თავისუფალი ჭიდაობის აღორძინებასაც აპირებენ... 27 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით ვარნაში (ბულგარეთი) ევროპის პირველობა გაიმართება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. საქართველოს პირველობა ქართველი მოჭიდავეებისათვის ბოლო რეპეტიცია იყო ამ დიდი გამოცდის წინ.

გამარჯვებულები



ფოტო რობერტ ბაჯოიანისა

# ვ. ქარსელაძის მემორიალზე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა წარსულში ცნობილი მწვრთნელის, ვახტანგ ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი გუნდურ-ასაკობრივი ტურნირი. შეჯიბრების დებულების თანახმად, შვიდი ტურის შემდეგ პირველ-მეოთხე ადგილზე გასული გუნდები ფლეი-ოფის სისტემით აგრძელებდნენ ჩემპიონობისათვის ბრძოლას. რვა წლამდელთა ტურნირის ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ „ნანასა" (მწვრთნელი ნანა ქეფხოძე) და ჭადრაკის სასახლის (მწვრთნელი მაკა ხანთაძე) გუნდები. შეხვედრა ფრედ — 2:2 დასრულდა. ტაი-ბრეიკებში კი ჭადრაკის სასახლის გუნდის წევრებმა იმარჯვეს 3:1. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში „საბურთალომ" (მწვრთნელი დავით ხიზანიშვილი) ტაი-ბრეიკების ჩათვლით 5:6 დაამარცხა „იმედი". 10 წლამდელთა ტურნირი მოიგო 147-ე საშუალო სკოლის მეორე გუნდმა (მწვრთნელი ზაზა ჰკუასელი), რომელმაც ფინალში 2-1 დაამარცხა გოგი მაჭარაშვილის დამოძღვრილი „აისი". მესამე ადგილისათვის მატჩში კლუბმა „ნინომ" (მწვრთნელი გოგი მაჭარაშვილი) ტაი-ბრეიკებით 4:3 სძლია „ოლიმპივ"-ს. 12-წლიანებში ყველას აჯობა გოგი მაჭარაშვილის „აისმა", რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში 2:1 დაამარცხა „ვარსკვლავი" (მწვრთნელი ალექსანდრე ყაშაშვილი). მესამე ადგილი კი დაიკავა 147-ე საშუალო სკოლის პირველმა გუნდმა (მწვრთნელი ზაზა ჰკუასელი). დასასრულ, 14-წლამდელთა ტურნირის შესახებ. აქ უძლიერესი იყო ალექსანდრე ყაშაშვილის „ვარსკლავი", რომელმაც 3:1 მოუგო ფინალში 147-ე საშუალო სკოლის პირველ გუნდს (მწვრთნელი ზაზა ჰკუასელი). მესამე ადგილზე გავიდა გოგი მაჭარაშვილის „აისი".

# გიწვევთ ჭადრაკის სასახლეში

პირველი გვერდიდან

თვალი მოჭადრაკეთა ბრძოლის პერიპეტიებს, ვეება სადემონსტრაციო დაფების საშუალებით. შეჯიბრებაზე, რომელიც 14 საათზე იწყება, დასწრება უფასოა.

ჩემპიონატი მღელვარე სპორტულ პაექრობას გვპირდება. სარბიელზეა 12 უძლიერესი, დიდად პერსპექტიული ახალგაზრდა მოჭადრაკე, რომლებსაც სერიოზული პრეტენზია აქვთ საქართველოს ჩემპიონის ტიტულისა და საქართველოს ოლიმპიური გუნდის წევრობის ორ საგზურზე. ამიტომ მოსალოდნელია უშელავათო დაძაბული შეხლა-შემოხლა.

აი, ტურნირის მონაწილენიც: დიდოსტატები — საქართველოს 2003 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე (რეიტინგი 2452), მაია ლომინეიშვილი (2397), ნინო ხურციძე (2387), ლელა ჯავახიშვილი (2372), ანა მათნაძე (2364), სოფიო ტყეშელაშვილი (2307), საერთაშორისო ოსტატები ინგა ჭარხალაშვილი (2352), სოფიო გვეტაძე (2304), თამარ წერეთელი (2282), სალომე მელია (2288), ფიდე-ს ოსტატი მირანდა მიქაძე (2129) და ანა გავაშელი (2161).

ტურნირში დაწესებულია შემდეგი ნორმატივები: საერთაშორისო დიდოსტატის 7 ქულა და საერთაშორისო ოსტატის — 5 ქულა.

**I ტური. 16 ივნისი.**

**ძაგნიძე – გვეტაძე 1:0, ლომინეიშვილი – ხურციძე 0:1, ჯავახიშვილი – გავაშელი 1:0, ჭარხალაშვილი – ტყეშელაშვილი 1:0, მელია – მათნაძე 0,5:0,5, მიქაძე – წერეთელი 0,5:0,5.**

ყურადღების ცენტრში ფავორიტების შეხვედრები იყო. 17 წლის ძაგნიძე დღეს აღიარებული ლიდერია. ყოველ ტურნირში იგი ავლენს დიდ ტალანტსა და მებრძოლ სულს. გვეტაძესთან პარტიაში მან რეტის დებიუტი გაითამაშა და იერიში ააწყო. გვეტაძე გეგმიანად, დიდი მოთმინებით უვნებელყოფდა მუქარებს, მაგრამ მცირე უზუსტობას მოჰყვა ძაგნიძის მხედრის შეწირვა და უმძაფრესი იერიში შავ გვირგვინოსანზე. არა ნაკლებ დრამატულად მიმდინარეობდა ყველაზე გამოცდილი დიდოსტატების — ლომინეიშვილისა და ხურციძის შეხვედრა. ისინი ერთმანეთს რთულ პრობლემებს უსვამდნენ. ბოლოს ხურციძემ უპირატესობა მიიღო ეტლების ენდშპილში და გაიმარჯვა. ჯავახიშვილმა კარგად გამოიყენა გამოუცდელი გავაშელის შეცდომები და პირველი ქულა მიიღო.

საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა ჩემპიონატის დებიუტანტმა, ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, 15 წლის მირანდა მიქაძემ. სიცილიურ დაცვაში მან გამოავლინა პოზიციის შეფასების საქები უნარი, მოთმინება და წინდახედულება. წერეთელი ამაოდ დაშვრა. 37-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. საინტერესო შეწირვა განახორციელა მათნაძემ. მან ეტლსა და კუში ლაზიერი შესწირა, პერსპექტიული პოზიციაც მიიღო, მაგრამ მელია დიდი შეუპოვრობით თამაშობდა. მატერიალური მსხვერპლიც გაიღო (ეტლში კუ დათმო) და სასურველ ყაიმს მიაღწია. ჭარხალაშვილმა „არ დაინდო" თანამოქალაქე, ქუთაისელი ტყეშელაშვილი და ფარ-ხმალი დააყრევინა.

**გუშინ, 17 ივნისს გაიმართა II ტურის შეხვედრები. ისინი ასე დამთავრდა: ძაგნიძე – მიქაძე 0,5:0,5, წერეთელი – ჭარხალაშვილი 0,5:0,5, ტყეშელაშვილი – ჯავახიშვილი 0:1, გავაშელი – მელია 0:1, მათნაძე – ლომინეიშვილი 0,5:0,5, გვეტაძე – ხურციძე 0:1.**

ორი ტურის შემდეგ 2-2 ქულა აქვთ ნინო ხურციძესა და ლელა ჯავახიშვილს.

**თენგიზ გიორგაძე,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.**

# გარეკახეთის სპორტის თუჯკაცი

ვალიკო ოდიკაძე ნახევარ საუკუნეზე მეტია გარეკახეთში ქართული სპორტის სამსახურშია. აქედან 31 წელიწადი საგარეჯოს რაიონის სპორტკომიტეტს ხელმძღვანელობდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, მწყემსობაში ქვის სროლაში გაწაფული ბიჭი, მოგვიანებით საქართველოს ჩემპიონი გახდა ხელყუმბარის (!) ტყორცნაში. საგარეჯოს პირველობაზე 100 მეტრზე რბენაშიც პირველი იყო. მერე საგარეჯოელმა ვიქტორ გარსიაშვილმა მოჭიდავეთა მხარეში ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი ჩამოაყალიბა და ვალიკო ოდიკაძე მისი წევრი გახდა.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა. სტუდენტობისას ხშირად გამოდიოდა ტანმოვარჯიშეთა და მძლეოსანთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. შრომითი საქმიანობა ფიზკულტურის მასწავლებლობით დაიწყო. 1965 წლიდან პარალელურად საგარეჯოს სპორტსკოლის დირექტორი ხდება. სპორტკომიტეტს კი 1973-დან 2004 წლამდე ხელმძღვანელობდა. ახლახან გაათავისუფლეს — ასაკოვანი ხარო...

მარტო ის რად ღირს, რომ ვალიკო ოდიკაძის ხელმძღვანელობის პერიოდში, საგარეჯოში აიდგეს ფეხი ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანმა ქართველმა ფალავანმა ლევან თედიაშვილმა, გოლიათმა ძიუდოისტმა გივი ონაშვილმა. საჭადრაკო კომპოზიციაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა დავით გურგენიძემ, მძლეოსნებმა იოსებ დალბაშვილმა, ნანა ლაფაჩიშვილმა, ზურაბ გურგენიძემ...



შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ ლეგენდარული ლევან თედიაშვილი ბავშვობაში ვალიკო ოდიკაძესთანაც ვარჯიშობდა მძლეოსნობაში. ვალიკოს დროს აშენდა სპორტული დარბაზები საგარეჯოში, გიორგი წმინდასა და პატარძეულში. რაიონულ სპორტსკოლაში სპორტის 12 სახეობა დანერგა. კეთილმოაწყო სტადიონი, ჰყავდათ კალათბურთელები, ფრენბურთელები. მერე მისთვის სასურველ სექციაში ნიჭიერებს თავად ეძებდა.

ასე დაფრთიანდნენ საგარეჯოში ძიუდოისტი გიორგი რევაზიშვილი, სამბისტი მამუკა კურდღელაშვილი და სხვები.

დღეს, 18 ივნისს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს ვალიკო ოდიკაძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ!

ბაბრიელ ბარჯაძე

# ყურადღება!

„ლელოს" რედაქცია რეგიონებიდან დაუბრკოლებლად მიიღებს ნებისმიერ განცხადებას, რომელიც დაიბეჭდება გაზეთის ყოველ უახლოეს ნომერში ან დამკვეთის სურვილით მითითებულ ნომერში. ანგარიშსწორება მოხდება თანხის გაზეთის ანგარიშზე გადარიცხვით.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტია: გქბ ცენტრალური ფილიალი, ანგ. 016467589. კოდი 220101666, საიდ. კოდი 203826075. შპს გაზეთი „ლელო".

ოპერატიული შეკვეთა მიიღება ტელეფონებზე: 995614; 899 55-48-97.

# გამგზავრების წინ...

**ლიბიაში, მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატზე, როგორც ცნობილია, ოთხი ქართველი მოჭადრაკე ასპარეზობს. ზურაბ აზმაიფარაშვილი, გიგა ყაჭეიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი და ბადურ ჯობავა. გამგზავრების წინ ჩვენ გავესაუბრეთ ქართველ დიდოსტატს გიგა ყაჭეიშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ შეეცდება მსოფლიო ჩემპიონატზე საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს.**

● ***მოსამზადებელი ეტაპი სად გაიარეთ?***

— როგორ გითხრათ, ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი ის იყო, რომ ამ ცოტა ხნის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიმყოფებოდი, სადაც ხუთ კომერციულ საჭადრაკო ტურნირში ვიასპარეზე. აქედან ორი მათგანი მოვიგე. სხვათა შორის, ფილადელფიის ტურნირში პირველ-მეორე ადგილები გავიყავი თბილისელ გენადი ზაიჩიკთან ერთად, რომელიც ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს.



● ***საქართველოს ვაჟთა წლევანდელი ჩემპიონატი, რომელშიც იასპარეზე კიდეც, სრულიად განსხვავებული ფორმატით ჩატარდა. რას იტყვით ამაზე?***

— ჩემპიონატის ორ ეტაპად დაყოფა, ჩემი აზრით, არასწორია, რადგან ხდება ისე, რომ ერთ ეტაპზე შეიძლება ძლიერმა მოჭადრაკეებმა მოიყარონ თავი, ხოლო მეორეზე — სუსტმა. უმჯობესია, მომავალი წლიდან ისევ ძველ სისტემას დავუბრუნდეთ.

● ***წარმატებას გისურვებთ მსოფლიო ჩემპიონატზე.***

# ლელო — მატიანე
## 50 წლის წინათ...

**სოხუმი.** გაიმართა 1954 წლის პირადი პირველობა შაშში. ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა ნ. ხახანაშვილმა.

**ჭიათურა.** განათლების განყოფილებამ ჩაატარა მოსწავლეთა 1954 წლის პირველობა ფარიკაობაში. გაიმარჯვა და ქალაქის ჩემპიონის სახელი მოიპოვა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ ჯ. ლორთქიფანიძემ.

**თბილისი.** დამთავრდა შეჯიბრება კალინინის სახელობის რაიონის „დოსააფის" გუნდურ პირველობაზე მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. ვაჟთა გუნდებს შორის პირველ ადგილზე გავიდა I საშუალო სკოლის გუნდი, ქალთა გუნდებს შორის — ქალთა I საშუალო სკოლა.

**შუახევი.** დამთავრდა შეჯიბრება ჭადრაკში რაიონის 1954 წლის პირად პირველობაზე. პირველი ადგილი და რაიონის ჩემპიონის წოდება მოიპოვა კ. ცინცაძემ.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №9 (23) ივნისი, 2004 წელი


# ქართული კარატეს კიდევ ერთი დიდი წარმატება

## „ფოთი 2004“

### საერთაშორისო ტურნირი კარატე-დოში






თურქეთის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტმა სპეციალური თასებით დააჯილდოვა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია, საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ლეჟავა, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ოთარ გრძელიშვილი, ფოთის მერი ვახტანგ ალანია, საკრებულოს თავმჯდომარე თემურ წურწუმია და ფოთის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი ბაჩუკი სულამანიძე.



საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის გადატვირთულ სპორტულ გრაფიკს წლევანდელი ღონისძიებების გვირგვინად ფოთის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი დაედგა თავზე. ეროვნულმა ფედერაციამ კიდევ ერთი გრანდიოზული ტურნირი ჩაატარა სახელწოდებით — „ფოთი 2004“.

მეგობრობის ქალაქმა კარატეს პოპულარიზაციაშიც უდიდესი წვლილი დაიდო. ტურნირს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია ასე აფასებს.

*— ბატონო კახა, როგორ ჩაიარა ტურნირმა, რასაც ელოდით, გაგიმართლდათ?*

— ტურნირმა მართლაც ბრწყინვალედ ჩაიარა და შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო კიდევ ერთი გრანდიოზული საერთაშორისო ტურნირი. ფოთის საერთაშორისო ტურნირი ერთ-ერთი დიდი და პრესტიჟული სპორტული ღონისძიება გახდა, რომელშიც მთელი მონდომებით ასპარეზობენ ხოლმე წამყვანი ქვეყნები. მაგალითად ამ ტურნირში თურქეთის, კაზახსტანის, რუსეთის, აზერბაიჯანი 60 კაცის შემადგენლობით იყო წარმოდგენილი, სომხეთის კარატეს ეროვნულმა ნაკრებებმა იასპარეზეს მთელი შემადგენლობებით. გარდა სპორტსმენებისა, მსაჯთა მთელი კორპუსები იყვნენ ჩამოსულები, რომლებმაც ტურნირის საერთო მაღალი დონით კმაყოფილება გამოთქვეს. სტუმრებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს ფოთის კარატეს ფედერაციის სპორტსმენების მაღალი დონე. საერთო ჯამში კი ტურნირში 350-ზე მეტმა სპორტსმენმა იასპარეზა.

*— ასეთ გრანდიოზულ ღონისძიებას საკმაოდ დიდი ორგანიზება და ხარჯები სჭირდება და ვინ გასწია?*

— საერთოდ ასეა; — კარგი სპორტული ღონისძიების ან სხვა ნებისმიერი საქმის კარგად გასაკეთებლად საკმაოდ დიდი თანხები საჭირო. მოგეხსენებათ — „ძალა ერთობაშიაო“, და ტურნირის ორგანიზატორები ვიყავით ჩვენ — საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია, საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საკოორდინაციო საბჭო, ფოთის კარატე-დოს ფედერაცია. საქართველოს სპორტი-

ერაცია. საქართველოს სპორტისა და კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი და ჩვენი ფედერაცია ყოველივე ამისთვის კიდევ ერთხელ უხდის მადლობას, ფოთის მერს ბატონ ვახტანგ ალანიას და საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ თემურ წურწუმიას თანადგომისთვის და დახმარებისთვის, მათი უშუალო დახმარებით ტურნირი მაღალ ორგანიზებულად ჩატარდა.

*— როგორც ვიცი, ეს ტურნირი მსოფლიო თასის გათამაშების წინასწარი ეტაპიც იყო. საიმედო ნაკრების თუ შედგა, და ამავე დროს რაიმე პრობლემა ხომ არ არის, რამაც შეიძლება მსოფლიო თასზე ასპარეზობას გამოთიშოს ჩვენი ნაკრები?*

— მართალია, ეს ტურნირი ერთ-ერთი წინაპირობა იყო ბარსელონის მსოფლიო თასის გათამაშებისა. ახლა უკვე ვიცით თუ რა ნაკრებით ვიასპარეზებთ მსოფლიო თასისთვის. რაც შეეხება ჩვენს წასვლას, შესაძლოა ხელი მართლაც შეგვეშალოს, ან მთელი შემადგენლობით ვერ გავემგზავროლ, ისევ და ისევ ფინანსური და სხვა გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო.

*— ბატონო კახა, ალბათ როგორც ყველას სფეროს, ისე კარატესაც აქვს გარკვეული პრობლემები...*

— მართალია. არც ჩვენ ვართ გამონაკლისი და ჩვენც საკმაოდ ბევრი პრობლემები გვაქვს, უფრო ძირითადი — ფინანსური, თორემ ისე, ორგანიზაციული ან იდეოლოგიური პრობლემების წინაშე ნამდვილად არ ვდგავართ. საკმაოდ ბევრი გამოცდილი ინსტრუქტორი და სპეციალისტი გვყავს ფედერაციაში და მათი სრული რეალიზაცია რომ მოვახდინოთ, წარმოუდგენელ დიდ შედეგებს მივაღწევთ.

*— რაიმე კურიოზი ხომ არ მოხდა?*

დარბაზში ნათურებმა ქართულ ძაბვას ველარ გაუძლო და ყველა ნათურა გადაიწვა, რამაც პრაქტიკულად ტურნირი დაამთავრა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტმა ჩვენს ნაკრებზე დადებითად იმოქმედა. ამის შემდეგ თურქეთის კარატეს ხელმძღვანელობამ ჩვენი ეროვნული ნაკრები მიიწვია სტუმრად ერთკვირიან შეკრებაზე, რომლის ყველა ხარჯებსაც მასპინძლები გაიღებენ. სწორედ ამ შეკრებაზე, ფოთში დაწყებული ასპარეზობა, სიმბოლური შეჯიბრით თურქეთში დამთავრდება.

*— და ბოლოს, სამომავლო გეგმები როგორი გაქვთ?*

— ბარსელონის შემდეგ ფედერაციაში საყოველთაო საწვრთნელი შეკრებები დაიწყება, რომელიც შემოდგომის ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე წასასვლელ ნაკრებებს მოამზადებს.

ჩვენი ფედერაცია ბიზნეს წრეების წარმომადგენლებს შეხვდა ბათუმში, სადაც გაიმართა საქმიანი შეხვედრები. ძირითადი შეხვედრები კი ფოთში შედგა, მოხდა შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. დაიგეგმა სამომავლოდ ერთიანი ძალისხმევით, როგორც სპორტული, აგრეთვე ბიზნეს საინტერესო პროექტების განხორციელება.



ვახტანგ ალანია







*კუმიტე — ვაჟები*

*8-9 წელი*
1. ალექსი გოგოლაშვილი (ქუთაისი)
2. ლუკა ქოჩორაშვილი (რისკი კლ). თბილისი
3. ირაკლი კირკიტაძე (ქუთაისი)
3. დათო დარჩია (გურია)

*10-11წ. ბიჭები*
1. გეგა პატარაია (თბილისი)
2. ტურად ალეგბეროვ (აზრ.)
3. თენგიზი თოდუა (ჩხოროწყუ)
3. რუსლან სულეიმან (აზრ)

*12-13წ. ბიჭები*
1. რუფატი მუსაევი (აზრ.)
2. აჩიკო თოფურია (ზუგდიდი)
3. ჰენრი ვეკუა (ფოთი)
3. სპარტაკი ახალაია (ჩხოროწყუ)

*14-15წ. ბიჭები*
1. დემირალ უგურ (თურქ.)
2. სარიტაზ უგურ (თურქ.)
3. გიორგი სუხიტაშვილი (საქ.)
3. საპინ მ. უტკუ (თურქ.)

*16-17წ. ბიჭები*
1. შაჰინ ატამოვ (თურქ.)
2. ვიუსალ მადატოვ (აზრ.)
3. ჰოლად რამაზანოვ (აზრ.)
3. ელნურ იბრაგიმოვ (აზრ.)

კატა — ვაჟები

*14 წლამდე*
1. აფციაური ალექსი (საქ.) ქუთაისი
2. ელჩინ მამედოვ (აზრ.)
3. ალექსი გოგიშვილი (საქ.) ქუთაისი
3. ალ. იზადე სარხად (აზრ.)

კატა — გოგონები

*14 წლამდე*
1. თეონა სულამანიძე (საქ.)
2. ხაჯიჯა მამედოვა (აზრ.)
3. თათია თურქია (საქ.)

*14 წლის ზევით*
1. იავუზ სევიჯან (თურქ.)
2. ნათია თურქაია (საქ.)
3. აინურ ჰუსეინოვა (აზრ.)
3. გულარა ისმაილოვა (აზრ).

კატა — ვაჟები

*14 წლის ზევით*
1. რუსტამ მადატოვ (აზრ.)
2. ლევანი ნიკოლაძე (საქ.)
3. ბექა კუხიანიძე (ქუთაისი)
3. დათო ჭელიძე (ქუთაისი)

გოგონები
კუმიტე
*8-9 წელი*
1. თათია თურქია (გურია)
2. თეონა სულამანიძე (ფოთი)
3. თიკო ორაგველიძე (ოზურგეთი)
*12-13 წელი*
1. ნათია სულამანიძე (ფოთი)
2. თათია თურქია (გურია)
3. თამარიბებია (ზუგდიდი)
*14-15 წელი*
1. ოზთურქ ალევ (თურქ.)
2. იპექელ გამზე (თურქ.)
3. მადონა გურგენიძე (ოზურგ.)
3. აინურ გუსეინოვა (აზერბ.)


ნუგზარ ჭიაბერაშვილი საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით.

ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89. WWW.karate.ge

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცდიის ცენტრალური ოფისი

空手道



# ლიდერთა კონტურები

კიდევ ერთი სუპერმატჩით დამთავრდა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის პირველი ტური და თუ მთელი სიცხადით არა, ნაწილობრივ მაინც გამოიკვეთა ვინ რისი მაქნისია ევროზე. სკანდინაველებმა შვედურ მაგიდასთან არ დასვეს ბულგარელები. იტალიელებმა თავიდანვე ფრე შესთავაზეს დანიელებს და დასტურიც მიიღეს, ჩეხებმა ცალი ფეხით მოგება დაუპირეს ჩემპიონატის დებიუტანტებს ლატვიელებს, გაიმარჯვეს, მაგრამ გვარიანად ოფლიც ღვარეს. საწყისი ტური კი ძველი მეტოქეების ორთაბრძოლით დაიხურა. ბევრი ჰოლანდიელებს აძლევდა უპირატესობას, მაგრამ გერმანელები ჩვეული მობილიზებით დაუხვდნენ მეტოქეს და არ მოაგებინეს. პირველმა ტურმა ცხადჰყო, რომ ტურნირს უეჭველი ფავორიტები ჯერ არ ჰყავს და სამი ნაკრების გამოკლებით, ყველას შეუძლია გარკვეული ცვლილებები შეიტანოს ლიდერთა განლაგებაში. მათდამი პატივისცემის მიუხედავად, ჩემპიონატის აუტსაიდერებად შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთის, ბულგარეთის და ლატვიის გუნდები, გარკვეული სიურპრიზების შემოთავაზება შეუძლიათ ხორვატებს და შვეიცარიელებს. დანარჩენებს რანგით ეკუთვნით ფავორიტთა რიგებში ყოფნა. პირველი მატჩების შემდეგ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ბერძნებმა და შვედებმა. მათი თამაში მართლაც გამორჩეული იყო პირველ ტურში. გაუთვალისწინებელი მარცხით ჯგუფიდან გასვლის პერსპექტივები შეიმცირეს პორტუგალიელებმა და ინგლისელებმა, მაგრამ მათ საკმარისი სათამაშო პოტენცია აქვთ საიმისოდ, რომ ვითარება გამოასწორონ. ჩვეულად ულიმლამოდ დაიწყო ტურნირი ვარსკვლავებით გავსებულმა იტალიელთა „ცისფერმა“ გუნდმა, კარგი ნაკრებები ჰყავთ დანიელებს, ესპანელებს და ჩეხებს. მათზე მაღლა კი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გუნდი დგას — ევროპის მოქმედი ჩემპიონი, საფრანგეთი, თავისი შეუდარებელი ყაჩით — ზიდანით. გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ფრანგების გამარჯვება ინგლისელებთან გმირობის ტოლფასი იყო და გალების შთამომავლები კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს კბილებითაც დაიცავენ და, რა თქმა უნდა, მუხლის ძალითაც. არაფერი გვითქვამს „დ“ ჯგუფის ორ წარმომადგენელზე, ჰოლანდია — გერმანიაზე. ამხანაგურ მატჩებში ნაჩვენები უფერული, ზოგჯერ კი კატასტროფული თამაშის ფონზე, ორივე ნაკრების ჩამოწერა ძალიან ადრეა, რაც მათმა უშუალო დაპირისპირებამ ნათლად წარმოაჩინა. მათ ხომ უდიდესი საფეხბურთო ტრადიცია, ტიტულები და ზღაპრული ისტორია უმაგრებთ ზურგს.

ადრეც ითქვა, ჩემპიონატს პეწი და ეშხი თანდათან მოემატება. მეორე ტური, რომელიც „ა“ ჯგუფის გუნდების გუშინწინდელი მატჩებით გაიხსნა, ბევრ სიცხადეს შეიტანს ცხრილებში. ერთნი მეოთხედფინალისთვის მოემზადებიან, მეორენი ჩემოდნებს ჩაალაგებენ და აიბარგებიან.

# „დინამო“ (თბ) - „დილა“ ამხანაგური მატჩი

**15 ივნისი. თბილისი. ეროვნული სტადიონი**

**„დინამო“ (თბ) – „დილა“ (გორი) 3-0**

**დინამო:** მამალაძე (თოთლაძე 46), გიგაური (შაშიაშვილი 46), კანდელაკი (სილაგაძე 46), სალუქაძე, კიკნაძე (კანკავა 46), ანჩაბაძე (რომერო 46), ხმალაძე (კვირკველია 46), დვალი (გონჩაროვი 46), ალადაშვილი (კაკალაძე 46), მელქაძე (ახალაია 46), იაშვილი (კაშია 46).

**დილა:** სოლოლაშვილი (ილურიძე 75), ბალაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი (ქარქუზაშვილი 81), გილაური, რაზმაძე, მასურაშვილი (ხანიშვილი 55), რ. ონიანი, ბ. ჩიტაია (სამადაშვილი 67), შატაკიშვილი, მუშკუდიანი.

**გოლები:** 1-0 დვალი (12), 2-0 კაკალაძე (46), 3-0 გონჩაროვი (70).

**გააფრთხილეს:** რ. ონიანი (51), სილაგაძე (78).

**მსაჯი:** ლ. სილაგავა (თბილისი).

თბილისის „დინამო“ განაგრძობს ამხანაგური მატჩების სერიას. ამჯერად მისი სტუმარი გორის „დილა“ იყო, რომელსაც 20 ივნისს ბულგარეთში მოუწევს ოფიციალური მატჩის გამართვა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მატჩი „დილასთვის“ გენერალური რეპეტიცია იყო. „დინამოს“ რიგებში გამოჩნდნენ ლევან სილაგაძე და გიორგი კიკნაძე. გუნდში სილაგაძის დარჩენა გადაწყვეტილია, კიკნაძის კი ახლო მომავალში გაირკვევა. გუნდი დატოვა დავით [illegible] იც, სავარაუდოდ კარიერას ბათუმის „დინამოში“ განაგრძობს.

გორის „დილადან“ წავიდნენ: ოლგესაშვილი, ჯობაძე, ხაჭაპურიძე და [illegible]ოძუაშვილი. ზაზა ლაცაბიძე კი ტრავმის გამო ტოვებდა შეხვედრას.

თამაშის დაწყებიდანვე უპირატესობას „დინამო“ ფლობდა, რაც მე-12 წუთზეც აისახა. ბალაშვილის შეცდომის შემდეგ ანგარიში დვალმა გახსნა. 24-ე წუთზე კვლავ დვალს შეეძლო გოლი გაეტანა, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმში „დინამო“ სულ სხვა შემადგენლობით გამოვიდა. კვირკველიას არაერთხელ შეეძლო გოლი გაეტანა, თუმცა 46-ე წუთზე თავად მოუხდა პასის გაკეთება, რომელიც კაკალაძეს გადასცა, მან არ დააყოვნა და... 2-0. 70-ე წუთზე ახალწვეულმა ბორის გონჩაროვმა პირველი გოლი გაიტანა, „დინამოს“ რიგებშია.

ასე რომ, ეს შეხვედრა „დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა. „დილას“ კი ისღა დარჩენია ბულგარეთის „მარეკთან“ კარგად ითამაშოს და გორელი გულშემატკივრები გაახაროს.

ლ. ჯანკოტაძე

## ახალი თაობის ფეხბურთელები

# დედმამიშვილებით, ალბათ, რეკორდსმენი...

**დათო კვირკველია – დაიბადა 1980 წლის 27 ივნისს, ლანჩხუთში. პატარაობიდანვე შეუყვარდა ფეხბურთი. ბურთთან მისი მეგობრობა კი 7 წლის ასაკში დაიწყო. წარმატებების მისაღწევად დიდი გზა განვლო. იყო, როგორც დიდი სიხარული, ისე იმედგაცრუებაც. მაგრამ ყველაფერს გაუძლო და დღეს ის იმათ შორისაა, ვინც ქართული ფეხბურთის სახეს წარმოადგენს. 1998 წელს ჩაირიცხა ფოთის „ფაზისში“. 1999 წელს „კოლხეთი2“-ში, რამდენჯერმე ითამაშა ფოთის ძირითად კლუბში, სადაც საბოლოოდ 2001 წელს ჩაირიცხა. 2002 წლიდან თბილისის „დინამოშია“. მისი დებიუტი ეროვნულ ნაკრებში შვეიცარიის ნაკრების წინააღმდეგ შედგა. არის საქართველოს ჩემპიონი და თასის ორგზის მფლობელი თბილისის „დინამოსთან“ ერთად. აგრეთვე, დსთ-ს ტურნირის ფინალისტი და თასის მფლობელი. აღიარეს 2003-2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელად. ჰყავს მშობლები, სამი ძმა და ექვსი და.**

„ყველგან მწვანე მინდორი და ბურთი მელანდებოდა. თავისუფალ დროს ყოველთვის და ყველგან ვთამაშობდი. პირველ კლასში ვიყავი, ფეხბურთზე რომ მივედი. სამწუხაროდ, 8 წლისამ თავი დავანებე, რადგან გუნდი, სადაც ვთამაშობდი, დაიშალა“ — იხსენებს დათო.

● ***რამდენი დრო წაიღო ფეხბურთისგან იძულებითმა განშორებამ?***

— დაახლოებით ერთი წელი შევისვენე, შემდეგ ბათუმში გადავედი სათამაშოდ და სწავლაც იქ განვაგრძე.

● ***ბათუმში? რომელ გუნდში?***

— განათლების სამინისტროს გუნდი იყო „განათლება“ [illegible] რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ლანჩხუთში გადავედი და... დამიწყნეს.

● ***ეს როგორ?***

— ლანჩხუთის „გურიაში“ მინდოდა თამაში, მაგრამ მითხრეს, ადგილი არ არისო და ბოლოში მომიხადეს.



დ. კვირკველია (№16)

● ***ეს პირველი იმედგაცრუება იყო?***

— ძალიან მეწყინა, მაგრამ რა უნდა მექნა. თან ისეთი არა ვარ, რომ გულში ბოღმა ჩავიდო. ფარხმალი არ დავყარე და ფოთში გადავედი სათამაშოდ, იქ სამი წელი დავყავი.

● ***წყნარი და მშვიდი ჩანხარ, ბავშვობაშიც ასეთი დინჯი იყავი?***

— აბა, ცელქობისთვის სად მეცალა, ვცდილობდი მეტი დრო ბურთთან გამეტარებინა.

● ***ოჯახში ცხრა დედმამიშვილი ხართ, თანაც ყველაზე უფროსი შენ ხარ. როგორ გრძნობ თავს უმცროსებთან?***

— კარგი და-ძმური ურთიერთობა გვაქვს. არასოდეს დამჭირვებია მეთქვა, რომ შენ ეს გააკეთე, შენ ესო, საერთოდ, მბრძანებლობა არ მიყვარს.

● ***როგორ უხამებდი სწავლას და ფეხბურთს ერთმანეთს?***

— ისე არასოდეს მოვქცეულვარ, რომ მასწავლებელს ჩემთვის ნიშანი დაემადლებინა. პირიქით, ხელს მიწყობდა ყველა, რომ პრობლემები არ შემქ-

იხ. მე-4 გვ.

## ჭაბუკთა ლიგა

*საბოლოო ცხრილები*

**85-86 წ.წ.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 22 | 15 | 5 | 2 | 35-9 | 50 |
| კოლხეთი1913 | 22 | 14 | 2 | 6 | 49-28 | 44 |
| დინამო (თბ) | 22 | 13 | 3 | 6 | 46-29 | 42 |
| თბილისი | 22 | 12 | 6 | 4 | 50-22 | 42 |
| სიონი | 22 | 11 | 5 | 6 | 46-29 | 38 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 11 | 5 | 6 | 41-23 | 38 |
| სპარტაკი | 22 | 9 | 7 | 6 | 44-32 | 34 |
| დინამო (ბთ) | 22 | 9 | 1 | 12 | 24-28 | 29 |
| მცხეთა | 22 | 4 | 5 | 13 | 13-39 | 17 |
| დილა | 22 | 4 | 3 | 15 | 16-47 | 15 |
| ტორპედო | 22 | 3 | 3 | 16 | 12-52 | 12 |
| მერცხალი | 22 | 2 | 5 | 15 | 16-54 | 11 |

**87-88 წ.წ.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 22 | 18 | 1 | 3 | 65-19 | 55 |
| დინამო (თბ) | 22 | 13 | 4 | 5 | 52-20 | 43 |
| ტორპედო | 22 | 13 | 3 | 6 | 33-25 | 42 |
| მერცხალი | 22 | 12 | 2 | 8 | 32-42 | 38 |
| მცხეთა | 22 | 11 | 1 | 10 | 40-32 | 34 |
| ლოკომოტივი | 22 | 9 | 7 | 6 | 38-24 | 34 |
| დილა | 22 | 8 | 5 | 9 | 32-31 | 29 |
| თბილისი | 22 | 8 | 3 | 11 | 30-43 | 27 |
| დინამო (ბთ) | 22 | 7 | 3 | 12 | 31-31 | 24 |
| კოლხეთი1913 | 22 | 7 | 3 | 12 | 28-46 | 24 |
| სპარტაკი | 22 | 5 | 8 | 9 | 23-32 | 23 |
| სიონი | 22 | 0 | 2 | 20 | 15-74 | 2 |

**89-90 წ.წ.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 22 | 16 | 2 | 4 | 68-14 | 50 |
| მცხეთა | 22 | 15 | 5 | 2 | 65-16 | 50 |
| თბილისი | 22 | 15 | 2 | 5 | 80-22 | 47 |
| ტორპედო | 22 | 14 | 5 | 3 | 44-11 | 47 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 11 | 5 | 6 | 51-20 | 38 |
| დინამო (ბთ) | 22 | 10 | 3 | 9 | 46-41 | 33 |
| სპარტაკი | 22 | 8 | 3 | 11 | 43-50 | 27 |
| კოლხეთი1913 | 22 | 7 | 6 | 9 | 32-25 | 27 |
| დილა | 22 | 5 | 6 | 11 | 28-44 | 21 |
| ლოკომოტივი | 22 | 6 | 2 | 14 | 33-52 | 20 |
| სიონი | 22 | 3 | 0 | 19 | 20-108 | 9 |
| მერცხალი | 22 | 2 | 1 | 19 | 5-112 | 7 |

# რეგიონებში ყველაფერი გაირკვა

ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ XV ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი დასრულდა. დამთავრდა ჭაბუკთა ლიგის გათამაშება და ბოლოს, ორშაბათს, დასრულდა რეგიონული ლიგის პირველობაც. ნიშანდობლივია, რომ რეგიონული ჩემპიონატის ზონებში გამარჯვებულები პირველი წრის შემდეგ გამოვლინდნენ და არც შემდგომში შექმნიათ რაიმე პრობლემები. აღმოსავლეთის ზონაში უპირობოდ ლიდერობდა თელავის „კახეთი“ და სამართლიანად აღზევდა პირველ ლიგაში. დასავლეთის ზონაში იპირველა ჭიათურის „მაღაროელმა“ და იმერლებიც კახელების გზას გაუყვნენ. მათ არ ჩამორჩა ცენტრალური ზონის გამარჯვებული ბორჯომის „თორი“. ბორჯომელებმა ისე გაიარეს გრძელი სატურნირო დისტანცია, რომ არ დამარცხებულან. მომავალი XVI ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში თვითმყოფადი ახალი სამი გუნდი იასპარეზებს. „კახეთი“ (თელავი), „მაღაროელი“ (ჭიათურა) და „თორი“ (ბორჯომი). იყო პერიოდი, როდესაც ორი მათგანი, სულაც რამდენიმე წლის განმავლობაში უმაღლეს ლიგაში თამაშობდა. თელაველები ქართული საფეხბურთო ელიტის ხუთ პირველობაში მონაწილეობდნენ, ჭიათურელები – ორში.

**ცენტრალური**

**XXX ტური**

პრემა — იბერია-აკადემია 3-1
მესხეთი — მერანი 3-0
ტონთიო — ირაო-ვაკე 3-0
ლიახვი — თორი 0-3
ყაზბეგი — სამგორი 1-0
ზარზმა — ზოოვეტი 0-3

**დასავლეთი**

**XXIX ტური**

სქური — დინამო (ზ) 3-3
სულორი — მეშახტე 1-2
ეგრისი — კოლხეთი2 1-2
ოლიმპიკი — დინამო2 3-0
კოლხეთი (ხ) — მაღაროელი 1-0
იმედი — ტორპედო2 0-3
სალხინო — რაჭა 1-2
სტაბი — დინამო (ქ) 3-0

**XXX ტური**

დინამო (ზ) — კოლხეთი (ხ) 2-3
მეშახტე — სტაბი 4-0
დინამო (ქ) — სალხინო 0-3
რაჭა — იმედი 3-0
ტორპედო2 — სქური 5-0
მაღაროელი — ოლიმპიკი 3-0
დინამო2 — ეგრისი 1-0
კოლხეთი2 — სულორი 3-0

**აღმოსავლეთი**

კრწანისი — ერთობა 3-1
ნ. დინამო — ნ. დინამო2 (ორივეს წაგება ჩაეთვალა)
იბერია — დინამო (სოხ) 1-4
ცხუმი — თბილისი 1-1
ლოკომოტივი3 — თ.ს. აკადემია 5-0
სიონი2 (ბოლნ) — ჰერეთი 3-0
ავაზა — კახეთი 0-3

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 28 | 24 | 2 | 2 | 74-20 | 74 |
| ლოკომოტ-3 | 28 | 19 | 4 | 5 | 64-21 | 61 |
| სიონი2(ბოლნ) | 28 | 18 | 4 | 6 | 57-25 | 58 |
| ცხუმი | 28 | 14 | 7 | 7 | 52-27 | 49 |
| კრწანისი | 28 | 14 | 2 | 12 | 66-54 | 44 |
| ნ. დინამო | 28 | 12 | 6 | 10 | 49-42 | 42 |
| თ.ს. აკადემია | 27 | 11 | 8 | 8 | 38-34 | 41 |
| დინამო(სოხ) | 28 | 11 | 5 | 12 | 50-42 | 38 |
| ნ. დინამო2 | 28 | 11 | 3 | 14 | 35-43 | 36 |
| თბილისი | 28 | 9 | 8 | 11 | 45-49 | 35 |
| ჰერეთი | 28 | 8 | 8 | 12 | 27-35 | 32 |
| ავაზა | 28 | 9 | 3 | 16 | 28-45 | 30 |
| ერთობა | 28 | 6 | 4 | 18 | 21-57 | 22 |
| ნ. დინამო3 | 28 | 5 | 4 | 19 | 32-77 | 19 |
| იბერია | 27 | 2 | 1 | 24 | 24-91 | 7 |

**ცენტრალური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თორი | 24 | 21 | 3 | 0 | 67-11 | 66 |
| პრემა | 24 | 15 | 1 | 8 | 45-27 | 46 |
| მერანი | 24 | 13 | 5 | 6 | 37-25 | 44 |
| ყაზბეგი | 24 | 12 | 7 | 5 | 35-16 | 43 |
| ზოოვეტი | 24 | 12 | 4 | 8 | 35-24 | 40 |
| იბერია-აკადემ | 24 | 11 | 3 | 10 | 40-30 | 36 |
| მცხ-ურიონ2 | 24 | 10 | 5 | 9 | 41-33 | 35 |
| ლიახვი | 24 | 10 | 3 | 11 | 35-43 | 33 |
| სამგორი | 24 | 10 | 3 | 11 | 31-45 | 33 |
| მესხეთი | 24 | 9 | 2 | 13 | 33-33 | 29 |
| ტონთიო | 24 | 7 | 5 | 12 | 30-33 | 26 |
| ირაო-ვაკე | 24 | 5 | 1 | 18 | 27-59 | 16 |
| ზარზმა | 24 | 0 | 0 | 24 | 6-81 | 0 |

**დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 30 | 22 | 6 | 2 | 83-22 | 72 |
| ოლიმპიკი | 30 | 19 | 5 | 6 | 45-16 | 62 |
| სტაბი | 30 | 17 | 4 | 9 | 49-35 | 55 |
| კოლხეთი (ხ) | 30 | 17 | 4 | 9 | 40-32 | 55 |
| მეშახტე | 30 | 15 | 9 | 6 | 46-31 | 54 |
| რაჭა | 30 | 14 | 10 | 6 | 61-40 | 52 |
| სქური | 30 | 15 | 6 | 9 | 49-38 | 51 |
| სალხინო | 30 | 13 | 3 | 14 | 36-42 | 42 |
| დინამო (ზ) | 30 | 11 | 6 | 13 | 54-59 | 39 |
| დინამო2(ბთ) | 30 | 11 | 6 | 13 | 31-35 | 39 |
| ტორპედო2(ქ) | 30 | 10 | 4 | 16 | 40-48 | 34 |
| სულორი | 30 | 10 | 3 | 17 | 38-41 | 33 |
| იმედი | 30 | 8 | 8 | 14 | 28-46 | 32 |
| კოლხეთი2(ფ) | 30 | 8 | 6 | 16 | 39-50 | 30 |
| ეგრისი | 30 | 5 | 1 | 24 | 26-79 | 16 |
| დინამო (ქ) | 30 | 2 | 5 | 23 | 19-76 | 11 |

# ფედერაცია ახლიდან აიწყო და დალაგდა

**პირველი გვერდიდან**

აციო (საარბიტრაჟო) კომიტეტში. 57-ე მუხლის 1 პუნქტის მიხედვით წინამდებარე წესდება მიღებული იქნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის VII ყრილობაზე 2004 წლის 17 ივნისს და იგი ნაწილობრივ ცვლის წინა წესდებას. სფფ-ს წესდების სხვა დანარჩენი მუხლები უცვლელი დარჩა. გუშინდელ ყრილობაზე განიხილეს საორგანიზაციო საკითხები. სფფ-ს აღმასკომის წევრობიდან გამოიყვანეს ტარიელ ღვაბერიძე და აწგარდაცვლილი მიხეილ ქარქა. აღმასკომის წევრებად აირჩიეს: სფფ-ს გენერალური მდივანი — ანდრო აბაშიძე, სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი — რევაზ არველაძე, პროფლიგის პრეზიდენტი — დიმიტრი რამიშვილი და სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი — სერგო კვარაცხელია.

სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარემ ომარ გოგიაშვილმა, ჟორდანიას თქმით, გადადგომა ითხოვა. კომიტეტის ახალ სტრუქტურას სფფ-ს აღმასკომი დაამტკიცებს. შემცირდა სადისციპლინო კომიტეტის წევრთა რაოდენობა — 9-დან 5 წევრამდე. ამით სფფ-ს VII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

## საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის დღევანდელი კონფერენციის დღის წესრიგი

1. 2003-2004 წლების XV ეროვნული ჩემპიონატის შედეგებისა და მომავალი 2004-2005 წლების XVI ეროვნული ჩემპიონატის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ.
2. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის 2003-2004 წლების საფინანსო-სამეურნეო ანგარიშის შესახებ.
3. საქართველოს 2004-2005 წლების XVI ეროვნული ჩემპიონატისა და დ. ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის XV გათამაშების რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.
4. სხვადასხვა.

# დედმამიშვილებით, ალბათ, რეკორდსმენი...

მესამე გვერდიდან

მნოდა. დასკვნა თავად გამოიტანეთ.

● ***როგორ ფიქრობ, გზა დიდ ფეხბურთამდე ძნელად გაიარე?***

— აქამდე რომ მოვსულიყავი, მართლა ძალიან დიდი შრომა დამჭირდა, ფიზიკური, მორალური და ფსიქოლოგიური, მაგრამ რაც მთავარია, შედეგიც ჩანს.

● ***ყველას ოცნებაა „დინამოში“ ითამაშოს, შენ რით მიიპყარი ამ გუნდის ხელმძღვანელობის ყურადღება?***

— ფოთის „კოლხეთში“ გია ტყებუჩავამ რამდენიმე შეხვედრა ჩამატარებინა, სოსო ფილიას მოსვლის შემდეგ „კოლხეთში“ ხშირად ვთამაშობდი. ამ დროს კი „დინამოში“ გივი ნოდია მოვიდა, რომელმაც ჯონი შალამბერიძესთან და ლევან შავგულიძესთან ერთად ჩემი წაყვანაც მოისურვა, მაგრამ გუნდმა არ გამიშვა, რადგან მათთან კონტრაქტი მაკავშირებდა.

● ***შემდეგ იყო შუშაკი მოვიდა...***

— სწორედ შუშაკის მოსვლის შემდეგ ნოდიამ რეკომენდაცია გამიწია, ხორვატმაც იხილა ჩემი თამაში და თავისთან მიმიხმო.

● ***გაგიჭირდა ძირითადში ადგილის დამკვიდრება?..***

— ძალიან. ჩემს პოზიციაზე არჩილ სახვაძე თამაშობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემი ჯერიც დადგა.

● ***ეს ორი სეზონია წარმატებებს აღწევ. შარშან დუბლი შეასრულე, თასიც აიღე და ჩემპიონიც გახდი. ამ სეზონში კი, საერთოდ, საუკეთესო მოთამაშედ გცნეს. როგორ განიცდი აღიარებას?***

— მინდა ყველა ჟურნალისტს მადლობა გადავუხადო, რომ მენდნენ. შევეცდები ნდობა გაგიმართლოთ. რაც შეეხება ჩემს რეაქციას, ძალიან გამიკვირდა, ნამდვილად არ ველოდი, რომ საუკეთესოდ დამასახელებდნენ.

● ***ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს, ვის გულშემატკივრობ?***

— მხოლოდ ესპანეთს.

● ***ისე, შენი ოცნების გუნდი რომელია?***

— „ბარსელონა“. იქ თამაშზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი.

● ***დროა გკითხო, რა შეგიძლია თქვა საკუთარ თავზე?***

— ხომ ვთქვი, რომ წყნარი და კარგი ბიჭი ვარ (იცინის).

● ***ეს მე ვთქვი, შენ რას იტყვი?***

— ვარ ნორმალური, პატიოსანი, ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობ და არავის ვაწუხებ. რაც მთავარია, კეთილი და მიმტევებელი ვარ.

● ***ჭორებზედაც არ ბრაზდები?***

— რატომ უნდა გავბრაზდე. ჭორი ჭორია, სიცრუეზე სულმდაბლები ბრაზდებიან...

● ***გულახდილი ხარ?***

— კი. ახლა მეტყვი, რომ გულახდილად გითხრა მეგობარი გოგონა მყავს თუ არა? დიახ, მყავს.

● ***როგორი გოგონები მოგწონს?***

— ძალიან გთხოვ, ამ საიდუმლოს ჩემთვის შევინახავ (იცინის).

● ***საჩუქრების მირთმევა თუ გიყვარს?***

— ძალიან, აღებულ ხელფასსაც, ძირითადად, ოჯახისთვის საჩუქრებში ვხარჯავ.

● ***კონფლიქტური თუ ხარ?***

— ვცდილობ, რომ ყველანაირ კონფლიქტებს თავი ავარიდო.

● ***თვითკრიტიკული?***

— კი. განსაკუთრებით მაშინ, თუ კარგად ვერ ვითამაშე.

● ***სხვების აზრს თუ იზიარებ?***

— როგორ არა, მით უმეტეს, თუ ვხვდები, რომ კარგ რჩევას მაძლევენ. ბოლოს და ბოლოს, ეს ზრდილობის საკითხია.

● ***ბოლოს, ვის გინდა უთხრა მადლობა?***

— პირველ რიგში, ყველა ჟურნალისტს. შემდეგ ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ხნის მანძილზე მხარში მედგა.

ესაუბრა ლელა ჯანკოტაძე

ზესტაფონის რაიონის ჭაბუკ სპორტსმენთა წარმატებებში დიდია მოზარდ ფეხბურთელთა წვლილი. 1989 წელს დაბადებულები V ადგილს დასჯერდნენ რეგიონალურ პირველობაზე, 1988-წლიანები – II ადგილზე გავიდნენ, 1990-წლიანებმა კი რეგიონის პირველობა მოიგეს ნ. ახალკაცის სახელობის თასის გათამაშებაში და ახლა რეგიონის სახელით წარსდგებიან თასის რესპუბლიკურ გათამაშებაში (მწვრთნელი გურამ მაზმიშვილი).

რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გარი სორდია, გენერალური მდივანი ვალერი მანაგაძე ეწვივნენ ზესტაფონს, გამარჯვებულ გუნდს თასი და სიგელები გადასცეს, ხოლო რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ ცერცვაძემ სამახსოვრო საჩუქარი უძღვნა გუნდის მწვრთნელ გურამ მაზმიშვილს.

# რეგიონში ზესტაფონელებმა ყველას აჯობეს

## ნოდარ ახალკაცის თასზე



ნ. ახალკაცის სახ. თასის რეგიონალურ გათამაშებაში გამარჯვებული გუნდი რეგიონის ფედერაციის ხელმძღვანელებთან და რაიონის გამგეობის წევრებთან ერთად.





სურათებზე: მარცხნივ – ზესტაფონის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი თეიმურაზ ცერცვაძე საჩუქარს გადასცემს ნ. ახალკაცის თასის გათამაშების რეგიონულ შეჯიბრებაში გამარჯვებულ რაიონის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდს; მარჯვნივ – გამარჯვებულ გუნდს თასი გადასცა იმერეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გარი სორდიამ.



მარცხნიდან პირველი – გუნდის კაპიტანი რომან ქოიავა

ბახსენება

# საიუბილეო წერილი მოგონებამ შეცვალა

35-ე საფეხბურთო სკოლა არა მხოლოდ მაღალი კლასის ფეხბურთელებს ზრდიდა, აქედან ცხოვრების სარბიელზე გადიოდნენ ღირსეული პიროვნებები. ერთი მათგანი იყო რომან ქოიავა, რომელმაც თენგიზ კუბლაშვილთან შეისწავლა ფეხბურთის ანბანი. მერე გამოიწრთო ცნობილი ფეხბურთელის და სპეციალისტის ვ. ელოშვილის სამწვრთნელო ქურაში. რ. ქოიავა წარმატებით თამაშობდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდში, ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში, იყო მისი კაპიტანი.

„რ. ქოიავა იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სული და გული, გუნდის ხერხემალი, შეუპოვარი და ბოლომდე მებრძოლი, ძალზე ტექნიკური ფეხბურთელი. თითქმის ყოველთვის გადამწყვეტი გოლი გაჰქონდა კრიტიკულ მომენტში. მისი იმედი მუდამ მქონდა“ – იგონებს ვ. ელოშვილი. თავის მხრივ კი რ. ქოიავა ვ. ელოშვილს ადამიანობისა და კაცთმოყვარეობის მასწავლებლადაც მიიჩნევდა. რომანს ასევე თბილად იგონებს თანაგუნდელი ჯონი ჯანელიძე. „ახალგაზრდულ საკავშირო ჩემპიონატში უკრაინის ქ. შოსტკაში ქ. სუმის გუნდს ვეთამაშებოდით. წყდებოდა ჩემპიონის ბედი და იგი ჩვენს სასარგებლოდ რ. ქოიავამ გადაწყვიტა – დაახლოებით 35 მეტრიდან „ცხრიანში“ გაიტანა გადამწყვეტი გოლი“.

მძიმე ტრავმის გამო ნაადრევად გამოეთხოვა ფეხბურთს, მაგრამ რკინიგზის სამმართველოში სამეურნეო საქმიანობითაც გამოიჩინა თავი. ოჯახის საფეხბურთო ტრადიციები კი შვილმა ზურაბმა განაგრძო. სხვადასხვა დროს გამოდიოდა პოლონეთის, რუსეთის, საქართველოს საკლუბო გუნდებში. ამჟამად „თამარაშენის“ წამყვანი მოთამაშეა.

წლეულს, 30 აგვისტოს რ. ქოიავა 60 წლისა გახდებოდა. არ დასცალდა, 8 მაისს მოულოდნელად გარდაიცვალა. ვაგლახ, რომ საიუბილეო წერილის ნაცვლად, მისი გარდაცვალებიდან 40 დღისთავზე მოსაგონარი სტრიქონების დაწერა მომიხდა...

ვაჟა ჯიაურელი,
სსჟა-ს წევრი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს საპატიო რკინიგზელი.

# თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!

1. სურათზეა გამოჩენილი ინგლისელი ფეხბურთელი. თამაშობდა „ვესტ ჰემ იუნაიტედში“. 1966 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი ინგლისის ნაკრებთან ერთად. ვინაა იგი?

2. სურათზეა სახელგანთქმული ესპანელი ფეხბურთელი. თამაშობდა „ბარსელონაში“, იტალიის „მილანში“. არაერთგზის აღიარებულ იქნა ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელად. მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე. ვინაა იგი?



2



1

„ლელო“ №41-ში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები:

1. სურათზეა ბრაზილიის ერთ-ერთი გამოჩენილი ფეხბურთელი – სოკრატესი.

2. იტალიის „მილანში“ თამაშობდნენ (მარცხნიდან:) რუუდ გულიტი, ფრანკ რაიკარდი, მარკო ვან ბასტენი.




ომც. მარცხნიდან. I რიგში: რ. ბუგიანიშვილი, ც. დევდარიანი, გ. ვაშაკიძე, ბ. ქვანია, ნ. კიკნაძე, ს. ლეშჩენკო, ტ. ზაქარეიშვილი, ნ. ჯობინაშვილი; II რიგში: გ. ჯღარკავა, ჯ. იამანიძე, გ. მჭედლიშვილი, ს. საღირაშვილი, ი. ზაუტაშვილი, გ. ხუბუა, გ. ქობელაშვილი (მწვრთნელი).

ჭაბუკი ფეხბურთელის, თორნიკე რუხაძის ხსოვნის თბილისში გამართული ტურნირი დამთავრდა თბილისის ოლიმპიური მომზადების ცენტრის (ომც) მოზარდთა (1992 წ.) გუნდის გამარჯვებით (მწვრთნელი – გივი ქობელაშვილი). მეორე ადგილზე გავიდა „მერანი“ (საფეხბურთო კლუბის დირექტორი გენადი ქიქავა, მთ. მწვრთნელი – გიორგი ფარფალია). ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.

„მერანი“. მარცხნიდან. I რიგში: რ. თხელიძე, თ. ნაფეტვარიძე, გ. კვარაცხელია, დ. ბერიძე, ი. შენგელია, ი. შუკაკიძე, დ. ჩუბინიძე, თ. ჭავჭავაძე; II რიგში: პ. ქვანია, მ. გაფრინდაშვილი, ვ. ნაჭყებია, გ. დარსალია, გ. ნაკაშიძე, ა. ეჯიბიშვილი, ს. ნადირაშვილი, ლ. ბელქანია; III რიგში: გ. ქიქავა — კლუბის დირექტორი, გ. ფარფალია (მთ. მწვრთნელი).

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ოტო რეჰაგელის ახდენილი ოცნება

**„ა“ ჯგუფი**
**საბერძნეთი – ესპანეთი 1-1**

პირველ ტურში პორტუგალიელებთან სენსაციური გამარჯვების შემდეგ, საბერძნეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა მხოლოდ ერთი ცვლილება განახორციელა თავისი გუნდის შემადგენლობაში: ნახევარდაცვის ცენტრში ანგელოს ბასინასის ნაცვლად (ამ ფეხბურთელმა პენალტით გაუტანა ერთი გოლი ტურნირის მასპინძლებს), მოედანზე გამოვიდა კონსტანტინოს კაცურანისი.

მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელებთან მატჩის მეორე ტაიმში ითამაშა ბერძენთა თავდასხმის ხაზის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკოლაიდისმა, რეჰაგელმა ესპანელებთან მეორე ტურის მატჩში კვლავ ვრიზასი აირჩია.

ბერძნებმა ესპანეთის ნაკრებთან თამაში ისე დაიწყეს, როგორც წინა ტურში — ტურნირის მასპინძლებთან: პრესინგი მთელ მოედანზე და აკურატული თამაში დაცვაში. ესპანელებმა სასტარტო შტურმიც ვერ განახორციელეს. მათი ტერიტორიული უპირატესობა პირველი 25 წუთის განმავლობაში იგრძნობოდა, თუმცა, ბერძენთა მეკარე ნიკოპოლიდისი ერთხელაც არ ჩართულა თამაშში. ვერც რაულს და ვერც მორიენტესს თავისი თამაში ვერ „იპოვნათ“. მატჩის „თვალსაჩინო“ მომენტები ყვითელი ბარათები იყო. დაისაჯა



ევროპის ჩემპიონატის პირველი გოლის ავტორი კარაგუნისი, რომელიც მომდევნო მატჩს გამოტოვებს.

28-ე წუთზე ესპანელებმა, როგორც იქნა, გოლი გაიტანეს. „ახალგამოღვიძებულმა“ რაულმა კარგად შენიშნა ბერძენთა საჯარიმოში მორიენტესი და ბურთიც მას მიაწოდა. ამ უკანასკნელმა თანაგუნდელს გარჯა დაუფასა და ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა.

გაშვებული გოლის შემდეგ ოტო რეჰაგელის გუნდი გააქტიურდა, თუმცა მათი შეტევები ძირითადად ესპანელთა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან წყდებოდა. პირველ ტაიმში ბერძნებმა რამდენჯერმე სახიფათო დარტყმა განახორციელეს ესპანელთა კარის მიმართულებით, მაგრამ, უშედეგოდ.

მეორე ტაიმი მაღალ ტემპში დაიწყო. ზაგორაკისმა 18 მეტრიდან ოდნავ ააცილა კასილიასის კარს. აქტიურობდა მორიენტესი, რომელიც 10 მეტრიდან თავით ცდილობდა გოლის გატანას.

66-ე წუთზე ანგელოს ხარისტიასმა, რომელმაც 30 მეტრიდან მიიღო გადაცემა ცარტასისაგან, ჩამოიტოვა პუიოლი და კასილიასს ფეხებშუა გაუტარა ბურთი — 1-1.

ამის შემდეგ საესის გუნდმა ახალი ძალით შეუტია, თუმცა გოლის გატანა ვერ მოახერხა და ამით არც ძალიან უკმაყოფილო დარჩა. საყაიმო შედეგი ორივე გუნდს აწყობდა (1-1). მათ ბოლო ტურში ქულაც ჰყოფნიდათ შემდგომ ეტაპზე გასასვლელად. განსაკუთრებით გახარებული იყო ოტო რეჰაგელი, რომელსაც ევროპის ჩემპიონატამდე ოთხი ქულის მოპოვებაზე ოცნება თუ შეეძლო.

## ყველაფერი ესპანელებთან გადაწყდება

**„ა“ ჯგუფი**
**პორტუგალია – რუსეთი 2-0**

პირველ ტურში ბერძნებთან დამარცხების შემდეგ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებს პორტუგალიელ ფეხბურთელებს აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროებოდათ რუსეთის ნაკრებთან, რათა ჯგუფიდან გასვლის შანსი შეენარჩუნებინათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი პორტუგალიელთა შეტევებით დაიწყო და მანიშემ უკვე მე-7 წუთზე ეფექტური დარტყმით გახსნა კიდეც ანგარიში. გოლის გატანის შემდეგაც მასპინძლები კვლავ განაგრძობდნენ შეტევებს, თუმცა, ბუნებრივია, მათ სიმწვავე აკლდათ. რუსი ფეხბურთელები უშედეგოდ ცდილობდნენ სიტუაციის გამოსწორებას. იარცევის გუნდი ამჯერად უფრო ცუდად გამოიყურებოდა, ვიდრე ესპანელებთან შეხვედრაში. პირველ ტაიმში ჩვენმა მეზობლებმა მხოლოდ უხეში თამაშით გამოიჩინეს თავი. ტაიმის მიწურულს კი რუსეთის ნაკრები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა; პორტუგალიელთა შეტევის დროს, მატჩის არბიტრმა მიიჩნია, რომ ოვჩინიკოვმა საჯარიმო მოედნის გარეთ ხელით ითამაშა და უყოყმანოდ გააძევა მოედნიდან რუსეთის ნაკრების გოლკიპერი. იარცევი იძულებული შეიქნა, მოედნის მოთამაშე სათადარიგო მეკარით მალოფეევით შეეცვალა.

მეორე ტაიმში კვლავ პორტუგალიელები აქტიურობდნენ, რამდენჯერმე ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, თუმცა, ბოლო მომენტში სცოდავდნენ.

ამ მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა თვალნათლივ, რომ სკოლარიმ პორტუგალიის ნაკრები ვერ მოამზადა ევროპის ჩემპიონატის ნამდვილ ფავორიტად. მასპინძლებს არათუ ვერ გაჰქონდათ მეორე გოლი კაცნაკლული რუსეთის ნაკრების კარში, კინაღამ თავად გაუშვეს. დასასრულ, როცა მატჩის დამთავრებას აღარაფერი უკლდა, რუი კოშტამ გამოიჩინა თავი — 2-0.



მესამე ტურში პორტუგალიელებს კვლავ მოგებაზე ფიქრი მოუწევთ ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან, — ესპანეთის ნაკრებთან მატჩში.



## სასწაულამდე ცოტა რჩებოდა...

**„დ“ ჯგუფი.**
**ჩეხეთი – ლატვია 1-1**

ლატვიის ფეხბურთელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დებიუტი ჩეხეთის გამოცდილ გუნდთან ჰქონდათ. სპეციალისტები უპირატესობას, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელს ანიჭებდნენ. ბევრი მათგანი ჩეხთა დიდი ანგარიშით გამარჯვებასაც ვარაუდობდა. მართლაც, ბრიუკნერის გუნდის უპირატესობა პირველი წუთებიდან აშკარა იყო. ლატვიელ ფეხბურთელებს აშკარად უჭირდათ ნედვედის, პობორსკის, ბაროშისა და ორი მეტრი სიმაღლის მქონე კოლერის შეკავება. ზოგჯერ შტურმი ლატვიელთა კართან რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, თუმცა, გოლი არ ჩანდა და ამაში დიდი წვლილი ლატვიის ნაკრების მცველებსა და გოლკიპერ კოლინკოს თავგანწირულ თამაშს მიუძღოდა. შეტევებში გართულ ჩეხ ფეხბურთელებს ტაიმის უკანასკნელ წუთზე ლატვიელთა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა გამოეპარათ, რომლის დროსაც ვერპაკოვსკისმა ანგარიში გახსნა — 1-0.

ყველა ფიქრობდა, რომ მეორე ტაიმში ჩეხები „ბლოკას“ აადენდნენ ლატვიელებს, მაგრამ 73-ე წუთისთვის ტაბლოზე ისევ 1-0 ენთო. სწორედ ამ მომენტში ბარომშმა ძლივს მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, 12 წუთში კი ჰაინცმა გამარჯვების გოლი გაიტანა ლატვიის ნაკრების კარში 2-1.

მატჩის შემდეგ ჩეხეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კარელ ბრიუკნერმა აღიარა, რომ ლატვიის ნაკრებთან ასე გაუჭირდებოდათ 3 ქულის აღება: „ლატვიელები, რომ იტყვიან, „სამხედრო წესებით“ იცავდნენ თავს, ბოლომდე რომ გაეძლოთ... ჩემმა შეგირდებმა თამაშის მაღალი კლასით აჯობეს მათ“.

## ლოგიკური შედეგი

**„დ“ ჯგუფი. გერმანია – ჰოლანდია 1-1**

საფრანგეთ — ინგლისის შემდეგ მთელი ევროპა დიდი ინტერესით ელოდა კონტინენტის ექსჩემპიონების — გერმანიისა და ჰოლანდიის ნაკრებთა დაპირისპირებას. თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. უკვე მეორე წუთზე ოლივერ კანის პირისპირ დარჩენილმა ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდმა რუუდ ვან ნისტელროიმ ხელიდან გაუშვა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. პირველ წუთებში დიკ ადვოკაატის გუნდი აქტიური იყო. ისინი მეტხანს ფლობდნენ ბურთს და სახიფათოდაც უტევდნენ, მაგრამ ტაიმის შუა ნახევარში გერმანული „მანქანა“ ამუშავდა. რუდი ფიოლერის შეგირდებმა თანდათან ხელთ იგდეს ინიციატივა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კურანიდა ვიორნსი. ამ უკანასკნელმა ორი კარგი მომენტი გააცუდა. გერმანელთა ერთ-ერთი მთავარი კოზირი სტანდარტული მდგომარეობების შესრულებაა. 30-ე წუთზე ფრინგსის მიერ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოს შესრულებისას, ბურთი ყველას ასცდა, მეკარე ვან დერ საარსაც და ჰოლანდიელთა კარის ბადეში გაეხვია — 1-0. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დიკ ადვოკაატის შეგირდები კარგა ხანს გონს ვერ მოეგნენ. გერმანიის ნაკრები კი ჩვეული ტემპით, იერიშებით განაგრძობდა თამაშს.

ტაიმის მიწურულს ჰოლანდიელები გამოცოცხლდნენ და ვან დერ ვაარტმა კინაღამ გოლი გაუტანა ოლივერ კანს. შესვენებაზე გერმანელები მინიმალური უპირატესობით გავიდნენ.

მეორე ტაიმი გერმანელთა შეტევებით დაიწყო. ისინი დაცვაშიც საიმედოდ თამაშობდნენ, თუმცა, 81-ე წუთზე ვან დერ მეიდეს მიერ ჩაწოდებული ბურთი, ურთულეს მდგომარეობაში მყოფმა რუუდ ვან ნისტელროიმ ზუსტად გაგზავნა კარში. ასეთ დარტყმას იუბილარი ოლივერ კანიც არ მოელოდა. — ჰოლანდიელმა უცნაური „მაკრატელათი“ მნიშვნელოვანი გოლი გაუტანა იუბილარს — 1-1. დარჩენილ წუთებში ორივე გუნდს შეეძლო გოლის გატანა, თუმცა, ანგარიში არ შეცვლილა.

მატჩის შემდეგ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა განაცხადა, რომ ასეთი შედეგი სრულიად კანონზომიერია, თუმცა, ისიც თქვა, რომ მის გუნდს გამარჯვებაც შეეძლო: — „ამ დროისათვის არაფერი დაგვიკარგავს. წინ მთავარი ბრძოლებია“, — აღნიშნა ფიოლერმა.

„გერმანიის ნაკრების დასუსტება მითია — მათ ყოველთვის აქვთ რეზერვი, რომლის ამუშავებაც ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ და ეს ამ მატჩშიც კარგად გამოჩნდა“, — ეს სიტყვები კი ჰოლანდიელთა თავკაცს — დიკ ადვოკაატს ეკუთვნის.




## ევრო 2004-ის სტატისტიკა

**„ც“ – ჯგუფი**
**I ტური. მატჩი №5. გიმარაეში. სტადიონი „ა. ენრიკეში“ 14 ივნისი. 29.600 მაყურებელი**
**დანია – იტალია 0-0**

**დანია:** სორენსენი, ლაურსენი, ჰენრიკსენი, ჰელვეგი, ნ. იენსენი, დ. იენსენი, პოულსენი (პრისკე 78), რომედალი, ტომასონი, იორგენსენი (პერესი 72), სანდი (კ. იენსენი 69).
**იტალია:** ბუფონი, პანუჩი, ნესტა, კანავარო, ძამბროტა, ძანეტი (გატუზო 57), პეროტა, კამორანეზი (ფიორე 68), დელ პიერო (კასანო 64), ტოტი, ვიერი.
**გააფრთხილეს:** ტომასონი (29), კანავარო (61), ჰელვეგი (67), კასანო (69), გატუზო (81), ტოტი (90).
**მსაჯი:** მ. გონსალესი (ესპანეთი)

**I ტური. მატჩი №6. ლისაბონი. სტადიონი „ჟოზე ალვალადე“ 52.000 მაყურებელი**
**შვედეთი – ბულგარეთი 5-0**

**შვედეთი:** ისაკსონი, მელბერგი, იაკობსონი, ლუჩიჩი (ვილჰელმსონი 41), ლინდეროტი, ედმანი, ნილსონი, ა. სვენსონი (კელსტრიომი 77), იბრაჰიმოვიჩი (ოლბოკი 81), ლარსონი, ლიუნგბერგი.
**ბულგარეთი:** ზდრავკოვი, ვ. ივანოვი, კირილოვი, პაჟინი, ი. პეტკოვი, ს. პეტროვი, ხრისტოვი, პეევი, მ. პეტროვი (ლაზაროვი 84), იანკოვიჩი (დიმიტროვი 62), ბერბატოვი (მანჩევი 76).
**გოლები:** 1-0 ლიუნგბერგი (32), 2-0, 3-0 ლარსონი (57,58), 4-0 იბრაჰიმოვიჩი (78 პ), 5-0 (ოლბოკი 90).
**გააფრთხილეს:** პეტკოვი (18), კირილოვი (22), იანკოვიჩი (23), ლინდეროტი (52), იბრაჰიმოვიჩი (65), ვ. ივანოვი (71).
**მსაჯი:** მ. რაილი (ინგლისი).

**„დ“ ჯგუფი.**
**მატჩი №7. 15 ივნისი. I ტური. ავეირუ. სტადიონი „მუნისიპალი“. 20.000 მაყურებელი**
**ჩეხეთი – ლატვია 2-1**

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა (ჰაინცი 57), უიფალუში, ბოლფი, იანკულოვსკი, გალაშევი, (შმიცერი 65), პობორსკი, ნედვედი, როსიცკი, ბაროში (ქირანეკი 86), კოლერი.
**ლატვია:** კოლინკო, ზემლინსკისი, სტეპანოვსი, ისაკოვსი, ბლაგონადეჟდინსი, ლობანიოვსი (რიმკუსი 89), ბლეიდელისი, ასტაფიევსი, რუბინსი, პროხოროვსი (ლაიზანსი 72), ვერპაკოვსკისი (პახარსი 80).
**გოლები:** 0-1 ვერპაკოვსკისი (45), 1-1 ბაროში (73), 2-1 ჰაინცი (85).
**მსაჯი:** ჟ. ვესიე (საფრანგეთი).

**მატჩი №8. 15 ივნისი. „დ“ ჯგუფი.**
**I ტური. პორტუ. სტადიონი „დრაგაუ“ 47.000 მაყურებელი.**
**გერმანია – ჰოლანდია 1-1**

**გერმანია:** კანი, ვიორნსი, ნოვოტნი, ფრიდრიხი, ლამი, შნაიდერი (შვაინშტაიგერი 68), ბაუმანი, ფრინგსი (ერნსტი 78), ჰამანი, ბალაკი, კურანი (ბობიჩი 84).
**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, სტამი, ბუმა, ჰეიტინგა (ვან ჰოიდონკი 75), ვან ბრონხორსტი, კოკუ, დავიდსი (სნეიდერი 46), ვან დერ მეიდე, ზენდენი (ოვერმარსი 46), ვან დერ ვაარტი, ნისტელროი.
**გოლები:** 1-0 ფრინგსი (30), 1-1 ნისტელროი (81)
**გააფრთხილეს:** კურანი (12), კოკუ (29), სტამი (73), ბალაკი (90)
**მსაჯი:** ა. ფრისკი (შვედეთი).

**„ა“ ჯგუფი**
**16 ივნისი. მატჩი №9 პორტუ. სტადიონი „ბესა“. 26 000 მაყურებელი**
**საბერძნეთი – ესპანეთი 1-1**

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კაპსისი, დელასი, ფისასი (ვენეტიდისი 85), ზაგორაკისი, კარაგუნისი (ცარტასი 53), იანაკოპულოსი (ნიკოლაიდისი 50), პაპადოპულოსი, ვრიზასი, ხარისტიასი.
**ესპანეთი:** კასილიასი, პუიოლი, მარჩენა, ელგერა, ალდბელდა, ბარახა, ეჩებერია (ხ. სანჩესი 46), როდრიგესი, რაული (ტორესი 80), მორიენტესი (ვალერონი 65), ბრავო.
**გოლი** 0-1 მორიენტესი (28), 1-1 ხარისტიასი (66).
**გააფრთხილეს:** პაპადოპულოსი (8), მარჩენა (15), იანაკოპულოსი (23), კარაგუნისი (26), ელგერა (35), ზაგორაკისი (60), ვრიზასი (88).
**მსაჯი:** ლ. მიხელი (სლოვაკეთი).

**16 ივნისი. მატჩი №10. ლისაბონი. სტადიონი „დე ლუში“. 65 000 მაყურებელი**
**რუსეთი – პორტუგალია 0-2**

**რუსეთი:** ოვჩინიკოვი, სმერტინი, კარიაკა (ბულიკინი 79), იზმაილოვი (ბისტროვი 75), კერჟაკოვი, ალენიჩევი, ევსეევი, სენნიკოვი, ლოსკოვი, ბუგაევი, ალდონინი (მალოფეევი 45).
**პორტუგალია:** რიკარდუ, მონტეირუ, ვალენტე, საბროსა (რუი კოშტა 62), დეკუ, ანდრადე, კოშტინია, ფიგუ (კ. რონალდო 78), პაულეტა (ნუნო გომეში 58), კარვალიუ, მანიშე.
**გოლები:** 1-0 მანიშე (7), 2-0 რუი კოშტა (89).
**გააფრთხილეს:** სმერტინი (15), ევსეევი (22), კარვალიუ (24), ალენიჩევი (88)
**გააძევეს:** ოვჩინიკოვი (45).
**მსაჯი:** ტ. ჰაუგე (ნორვეგია).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **„ა“ ჯგუფი** | | | | | | |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| რუსეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| **„ც“ ჯგუფი** | | | | | | |
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 5-0 | 3 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| იტალია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-5 | 0 |
| **„დ“ ჯგუფი** | | | | | | |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| გერმანია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ლატვია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |

## „ლივერპულში“ ბენიტესი დაინიშნა



გუშინწინ ინგლისურმა საფეხბურთო კლუბ „ლივერპულის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალური განცხადება გააკეთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე „ვალენსიის“ ყოფილი თავკაცის რაფაელ ბენიტესის დანიშვნის თაობაზე.

ბენიტესმა ესპანურ კლუბთან კონტრაქტი მაისში დაარღვია. ამ სპეციალისტმა „ვალენსიას“ ბოლო წლებში სამჯერ მოაპოვებინა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, წელს კი პრიმერადივიზიონის ოქროს მედლები ბენიტესმა თავის შეგირდებს უეფას თასში „ჩააყოლებინა“.

რაფაელ ბენიტესმა ხელი არ მოაწერა „ვალენსიასთან“ ახალ ოთხწლიან კონტრაქტს, ძველი ხელშეკრულების თანახმად, ესპანეთის ჩემპიონისათვის კიდევ ერთ წელიწადს უნდა ეხელმძღვანელა, მაგრამ ეს პირობაც დაარღვია, მან განაცხადა, რომ ასეთი ნაბიჯი მოთამაშეებთან და „ვალენსიას“ მფლობელებთან კონფლიქტური დამოკიდებულების გამო გადადგა.

„ვალენსიიდან“ წასვლის შემდეგ მალევე გაირკვა, რომ ბენიტესი ახალი სეზონიდან „ლივერპულს“ უთავკაცებდა. ამ უკანასკნელის მთავარი მწვრთნელის პოსტი კი, როგორც ცნობილია, ჟერარ ულიემ დატოვა, რომელმაც ბოლო წლებში „ლივერპულს“ ვერა და ვერ დაუბრუნა ძველი დიდება.

ოფიციალურად, „ლივერპულთან“ კონტრაქტს ბენიტესმა გუშინწინ მოაწერა ხელი. მისი პირობების თანახმად, ახალი მწვრთნელი ყოველწლიურად 2 მილიონ ფუნტს მიიღებს.

ჟურნალისტებთან საუბარში რაფაელ ბენიტესმა „ლივერპულს“ დიდი გუნდი უწოდა „მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ ჩემი კარიერის გაგრძელება „ლივერპულში“ უფრო უპრიანი იქნებოდა. ბედნიერი ვარ, რომ ინგლისის ამ პოპულარულ გუნდთან დავიწყე მუშაობა. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ამ გუნდმა კონკურენცია გაუწიოს „არსენალს“, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსის“, — ამბობს რაფაელ ბენიტესი.

ბენიტესი „ლივერპულში“ გარკვეული ცვლილებების შეტანას აპირებს. არ არის გამორიცხული, ამ ინგლისური კლუბის ღირსება მომავალი სეზონიდან დაიცვან დავიდ ალბელდამ, პაბლო აიმარმა და რობერტო აიალამ.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ვალენსიას“ სათავეში ჩაუდგა „ჩელსის“ ყოფილი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი.

## ოვჩინიკოვი: «ბურთს ხელით არ შევხებივარ»

პორტუგალიელებთან მატჩის დროს გაძევებულმა რუსეთის ნაკრების გოლკიპერმა სერგეი ოვჩინიკოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ის საჯარიმო მოედნის გარეთ მეტოქის თავდამსხმელთან ბრძოლის დროს ბურთს ხელით არ შეხებია.

„ჯერ ფეხით ვცდილობდი მოგერიებას, შემდეგ ბურთი მკერდზე მომხვდა, რომ წამოვდექი, მსაჯის ხელში წითელი ბარათი დავინახე,“ — ამბობს ოვჩინიკოვი, — „არ გამკვირვებია ასეთი მსაჯობა, ვთვლი, რომ რუსეთის ნაკრებს ბევრად უკეთესად შეეძლო თამაში.“

## დეკუ: „ჩელსიში“ ევრო-2004-ის შემდეგ გადავალ

პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველმა დეკუმ რუსებთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კარიერას ლონდონის „ჩელსიში“ გააგრძელებს. „მე უკვე მოველაპარაკე „პორტოს“ და „ჩელსის“ ხელმძღვანელებს. ლონდონურ კლუბთან კონტრაქტის გაფორმებამდე სამედიცინო შემოწმების გავლაღა დამრჩა და ამას ივლისში გავაკეთებ“, — თქვა დეკუმ.

# ნბა

## „დეტროიტი" ნბა-ს ჩემპიონია



**ნბა-ს ჩემპიონის ტიტული „დეტროიტმა" მოიპოვა, რომელმაც ფლეი-ოფის ფინალური სერიის მეხუთე მატჩში 13 ქულის სხვაობით – 100:87 დაამარცხა „ლეიკერსი".** არადა, სპეციალისტები ფინალურ სერიაში ფავორიტად ვარსკვლავებით გაჯედილ „ლეიკერსს" თვლიდნენ. როგორც ჩანს, თვით ლოსანჯელესელი მოთამაშეებიც ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი საკუთარ გამარჯვებაში და ასეთმა ზედმეტმა თავდაჯერებულობამ ცუდი სამსახური გაუწია მათ. თვით „ლეიკერსის" მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა, როცა მისი გუნდი 0-2 აგებდა ფინალურ სერიაში, განაცხადა: „არაფერია, ასე დავიწყეთ „სან-ანტონიოსთან", მაგრამ ბოლოს მაინც გავიმარჯვეთ". ხუთი მატჩის ჯამში ფინალში ჯექსონის გუნდმა 1-4 წააგო!



და კიდევ ერთი, — „დეტროიტის" კალათბურთელები, ბოლო მატჩამდე გულარხეინად არ ყოფილან, რადგან იცოდნენ, თუ რა ძალის მეტოქესთან ჰქონდათ საქმე. აი, რა განაცხადა, მეხუთე მატჩის წინ „დეტროიტის" მთავარმა მწვრთნელმა ლერი ბრაუნმა: „ფინალური სერია მთავრდება მაშინ, როცა ერთ-ერთი გუნდი ოთხ მატჩს მოიგებს. ჩვენ კი ჯერჯერობით, მხოლოდ სამ შეხვედრაში გავიმარჯვეთ. მე არ ვაძლევ დამშვიდების საშუალებას არც საკუთარ თავს და არც ჩემს შეგირდებს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ლეიკერსს" ჰყავს რამდენიმე უმაღლესი კლასის მოთამაშე, როგორებიც არიან კობი ბრაიანტი და შაკილ ონილი; „ლეიკერსს" ჰყავს მწვრთნელი ფილ ჯექსონი, რომელსაც 9-ჯერ აქვს მოგებული ნბა-ს ჩემპიონის ტიტული. ასე რომ, ჩვენ ჩემპიონობამდე კიდევ დაგვრჩა ერთი ნაბიჯი — მეოთხე მატჩის მოგება".

როცა „დეტროიტმა" მეოთხე გამარჯვება იზეიმა, ლერი ბრაუნის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: „ჩვენ ფინალურ სერიაში სწორი ტაქტიკა ავირჩიეთ და ამიტომაც მივაღწიეთ წარმატებას. მე ვამაყობ ჩემი ბიჭებით", — ამბობდა ბრაუნი.

ახლა კი უშუალოდ ბოლო მატჩის შესახებ: ყველაზე მეტი, 21 ქულა „დეტროიტს" რიჩარდ ჰამილტონმა შესძინა, მატჩის გმირი კი ჩონსი ბილაპსი იყო, რომელმაც თავისუფლად თამაშის საშუალება არ მისცა „ლეიკერსის" ვარსკვლავებს — ბრაიანტსა და ონილს.

„ლეიკერსის" მარცხს კალიფორნიაში შაკილ ონილის უსუსურობას აბრალებენ. ტრავმირებული იყო კარლ მელოუნი. გარდა ამისა, „ლეიკერსის" შემადგენლობაში არცთუ ჯანსაღი სიტუაცია ყოფილა, — ჯერ კიდევ მეოთხე მატჩის წინ, მოთამაშეთა ჯგუფმა მთავარ მწვრთნელს ფილ ჯექსონს გუნდიდან კარლ მელოუნისა და გარი პეიტონის გაშვება მოსთხოვა. მწვრთნელმა ულტიმატუმი ნაწილობრივ გაითვალისწინა, — არც მელოუნი და არც პეიტონი ბოლო მატჩში არ ათამაშა, თუმცა, ამით „ლეიკერსს" ვერაფერი უშველა.

## მერიონ ჯონსი ანტისადოპინგო სააგენტოს წინააღმდეგ

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მერიონ ჯონსმა ჟურნალისტებისათვის მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სურს, მისი საქმის განხილვა ანტისადოპინგო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით ღია ფორმით მოხდეს, რათა საზოგადოება სრულად იყოს ინფორმირებული.

„მე არ გავცემ პასუხებს ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენლებს დახურულ კარს მიღმა. მზად ვარ მათთან ვითანამშრომლო ღია ფორმით. — ვთვლი, რომ საზოგადოებამ ყველაფერი უნდა იცოდეს", — ამბობს მერიონ ჯონსი.

შეგახსენებთ, რომ ამის გარდა, დოპინგის გამოყენებაში ბრალს სდებენ მერიონის მეუღლეს — ტიმ მონტგომერს. ცოლ-ქმარს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელით.



„ყველამ უნდა შეიტყოს, თუ რა ფორმით აპირებენ ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენლები ჩემს დადანაშაულებას და რატომ სურთ ჩემი კარიერის დასრულება", — ესეც ჯონსის სიტყვებია.

საინტერესოა, რომ მერიონ ჯონსისაგან არაერთხელ აიღეს ანალიზები და არასდროს აკრძალული პრეპარატების კვალი არ აღმოუჩენიათ მისთვის. მას ყოველთვის ყურადღებას აქცევდნენ, როგორც მსოფლიოში უძლიერეს სპორტსმენს.

ბოლო პერიოდში, როცა ანტისადოპინგო სააგენტომ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა აკრძალული პრეპარატების გამომყენებლებს, გამოჩნდა კაცი, ვინც ასეთ მოქმედებებში მერიონ ჯონსი დაადანაშაულა. საუბარია ოლიმპიური ჩემპიონის მიერ 2001 წელს დოპინგის გამოყენებაზე. საინტერესოა, რომ აშშ-ში ჯონსის საქმის გამოძიებას მხოლოდ ახლა, ათენის ოლიმპიური თამაშების წინ იწყებენ. სიტუაცია იმან გაართულა, რომ მერიონ ჯონსის ყოფილ მეუღლეს, ბირთვის მკვრელ სიჯეი ჰანტერს, დოპინგის გამოყენების გამო სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს. ამ გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, არც ჯონსი და არც მონტგომერი არ მოუწვევიათ მაისში, ნორვეგიაში გამართულ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში.

მერიონ ჯონსი იმუქრება, რომ თუკი აშშ-ს ანტისადოპინგო სააგენტო ვერ დაუმტკიცებს მას დოპინგის გამოყენებას, ამ ორგანიზაციას სასამართლოში უჩივლებს.

## მსოფლიო ნაკრებმა „პეტროსიანის გუნდს" აჯობა

მოსკოვში დასრულდა ჭადრაკში მსოფლიოს ექსჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სუპერმატჩი მსოფლიო ნაკრებსა და „პეტროსიანის გუნდს" შორის. მსოფლიო ნაკრებმა საერთო ჯამში 18,5:17,5-ით დაამარცხა „პეტროსიანის გუნდი", რომელსაც მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე გარი კასპაროვი ხელმძღვანელობდა. მატჩის ბედი, ბოლო დღეს, უკანასკნელ პარტიაში გადაწყდა, რომელშიც ისრაელის წარმომადგენელმა ბორის გელფანდმა ვერ იმარჯვა მსოფლიო ნაკრების წევრ ფრანგ მოჭადრაკესთან — ეტიენ ბაკროსთან. ამ უკანასკნელმა პატის საშუალებით დააღწია თავი დამარცხებას.

თავად კასპაროვმა 6 თამაშიდან 3,5 ქულა დააგროვა, — მოიგო მხოლოდ ერთი პარტია — პირველ ტურში ჰოლანდიელ ლიუკ ვან ველისთან. საუკეთესო იყო უნგრელი პეტერ ლეკო, რომელიც „პეტროსიანის გუნდის" ღირსებას იცავდა. ყველაზე ცუდად მსოფლიო ნაკრების წევრმა ლიუკ ვან ველიმ ითამაშა, რომელმაც 6 პარტიაში მხოლოდ ქულანახევრის აღება შეძლო.

## ჩხუბი ოლიმპიური ცეცხლის გამო

**მეხიკოში ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის დროს ჟურნალისტები და ოპერატორები, ცდილობდნენ რა, უფრო ახლო მანძილიდან გადაეღოთ ოლიმპიური ცეცხლით ხელში მორბენალი სპორტსმენი, პოლიციის მიერ გავლებულ დროებით ზღვარს გასცდნენ. სამართალდამცავებმა ჟურნალისტების ადგილზე დასაბრუნებლად ხელკეტები გამოიყენეს. შეხლა-შემოხლა რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. დაზარალდა ტელეკომპანია „სი-ენ-ენის" ჟურნალისტი, რომელიც ადგილობრივ ჰოსპიტალში მოათავსეს.**

**ესტაფეტის დროს კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა: ერთ-ერთ მონაწილეს ოლიმპიური ცეცხლი ჩაუქრა. რამდენიმე წუთში ჩირაღდანი კვლავ აანთეს და ესტაფეტა ჩვეულებრივ გაგრძელდა.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



**18 ივნისი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** ფეხბურთი. ევრო-2004. მიმოხილვა (18.45), ბულგარეთი — დანია, პირდაპირი რეპორტაჟი (20.50). **რუსთავი-2.** ევრო-2004. იტალია — შვედეთი (23.45). **იმედი.** პროგრამა „ესტაფეტა" (11.05). კალათბურთი. ნბა. პლეიოფი (15.15). ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. არგენტინის „რივერ პლეიტი" — არგენტინის „ბოკა ხუნიორსი", საპასუხო მატჩი (13.15, 18.55). „გავიხსენოთ განვლილი სეზონი". გერმანიის ჩემპიონატი „ბავარია" — „კაიზერსლაუტერნი" (15.00). იტალიის ჩემპიონატი, „იუვენტუსი" — „სიენა" (16.55), „ემპოლი" — „იუვენტუსი" (22.45). ესპანეთის ჩემპიონატი, „სევილია" — „რეალი" (22.45), ინგლისის ჩემპიონატი, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ფულხემი" (0.30). კალათბურთი. ნბა (4.00, 7.00, 7.30, 8.00). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „ატპ"-ის მიმოხილვა (16.30), ტაილანდური კრივი. რუსეთის ღია თასი (17.50). საცხენოსნო სპორტი. „Roual Ascot" პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან (18.50). ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირის წინ (20.30 — „უიმბლდონის ოქროს ათწლეული"). „ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე (21.30) კალათბურთი. ნბა. ფინალის მე-6 მატჩი (22.15). EUROSPORT8 ფეხბურთი. ევრო-2004. რა ხდება გუნდებში (10.00, 11.30, 12.00, 15.00). საპლაჟო ფრენბურთი, მსოფლიო ჩემპიონატი და ფრენბურთის საერთაშორისო პრიზი — იაპონია, ჩინეთი (13.00). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (14.30). ჩოგბურთი. „ატპ"-ის ტურნირი (16.00). „ვტა"-ს ტურნირი (17.30). ფეხბურთი. ახალი ამბები (23.00). ყველაზე ღონიერი მამაკაცი. მსოფლიო ჩემპიონატები, პოლონეთიდან (23.15), ფინეთიდან (0.15). ფეხბურთი. ევრო-2004. დამატებითი დრო (2.15, 3.30). ევროსპორტის ახალი ამბები (3.15).

**19 ივნისი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** ფეხბურთი. ევრო-2004. მიმოხილვა (18.30). ლატვია — გერმანია, პირდაპირი რეპორტაჟი (20.50), **რუსთავი-2.** ევრო-2004. ჰოლანდია — ჩეხეთი (23.45). ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიის თასი, ფინალის პირველი მატჩი (13.15), ლიბერტადორესის თასი, ნახევარფინალი: კოლუმბიის „ონსე კალიედასი" — ბრაზილიის „სან-პაულუ" (15.00); „ფუტბოლ მუნდიალი" (17.00); „ჩემპიონთა ლიგის არქივი", 2000-01 სეზონი: რუსეთის „სპარტაკი" — პორტუგალიის „სპორტინგი" (17.30); უკრაინის ჩემპიონატი, პირდაპირი ტრანსლაცია (19.55, 22.00); „გავიხსენოთ განვლილი სეზონი": გერმანიის ჩემპიონატი, „შალკე" — „ბავარია" (23.45), იტალიის ჩემპიონატი, „რომა" — „იუვენტუსი" (1.30); კალათბურთი, ნბა (4.00, 4.30, 5.00, 7.00, 8.00); ***НТВ плюс спорт.*** „ნოკაუტი", ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე (14.40); ბილიარდი, რუსეთის თასი, ევროპული პირამიდა (17.50); საცხენოსნო სპორტი, „Roual Ascot", პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან (18.50); ჩოგბურთი: უიმბლდონის ტურნირის სტარტის წინ (21.00), „ვტა"-ს საერთაშორისო ტურნირი, ფინალი (21.30), EUROSPORT. ფეხბურთი, ევრო-2004. რა ხდება გუნდებში (10.00, 11.30, 12.00); საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატისა და საერთაშორისო ფედერაციის პრიზზე (12.30); ფეხბურთი, ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (14.45); მძლეოსნობა, ევროპის ჩემპიონატი (16.15), ჩოგბურთი: „ვტა"-ს ტურნირი (20.00), „ატპ"-ის ტურნირი (21.15); ფეხბურთის ახალი ამბები (23.00); კრივი, პროფესიონალები (23.45); ფეხბურთი, ევრო-2004, დამატებითი დრო (2.15, 3.30): ევროსპორტის ახალი ამბები (3.15, 4.45).

**20 ივნისი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** ფეხბურთი: ევრო-2004, მიმოხილვა (18.30), ესპანეთი — პორტუგალია, პირდაპირი რეპორტაჟი (23.35); **რუსთავი-2.** ევრო-2004, რუსეთი — საბერძნეთი (23.45); **იმედი.** პროგრამა „ასი" (14.30), რაგბი. ამხანაგური შეხვედრა, საქართველოს ეროვნული ნაკრები — ბლუბულზი, პირდაპირი რეპორტაჟი (18.00). ***НТВ плюс футбол.*** უკრაინის ჩემპიონატი (13.15, 15.30); ლიბერტადორესის თასი, ნახევარფინალი: არგენტინის „რივერ პლეიტი" — არგენტინის „ბოკა ხუნიორსი" (17.45): „ჩემპიონთა ლიგის არქივი", 2000-01 სეზონი: „მილანი" — „ბარსელონა" (19.30) „გავიხსენოთ განვლილი სეზონი": ინგლისის ჩემპიონატი, „ლივერპული" — „მანჩესტერ იუნაიტედი" (21.35); „ფუტბოლ მუნდიალი" (23.20), ბრაზილიის ჩემპიონატი, პირდაპირი ტრანსლაცია (23.55); კალათბურთი, ნბა (4.30, 5.00, 7.00, 8.00). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი: უიმბლდონის სტარტის წინ (13.30), „ატპ"-ის საერთაშორისო ტურნირი, ფინალი (14.15); სპორტული ცეკვები პარიზის სპორტის სასახლეში (17.30); ბილიარდი, რუსეთის ჩემპიონატი (19.00); „დიდი რინგი" (20.25); „საჭადრაკო მიმოხილვა", მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში (22.20); ტაილანდური კრივი, რუსეთის ღია თასი (22.50). EUROSPORT. ფეხბურთი, ევრო-2004. რა ხდება გუნდებში (10.00, 11.30, 12.00, 15.30); საპლაჟო ფრენბურთი, მსოფლიო ჩემპიონატი და საერთაშორისო ფედერაციის პრიზი (12.30, 15.00, 17.00); მძლეოსნობა, ევროპის ჩემპიონატი (18.00); ჩოგბურთი, „ატპ"-ის ტურნირი (21.30); ფეხბურთის ახალი ამბები (23.00); სუმო, დიდი ჩემპიონატი, ბაშო (23.15), ფეხბურთი, ევრო-2004, დამატებითი დრო (2.30, 3.45); ევროსპორტის ახალი ამბები (3.30).

## კროსვორდი №48



**თარაზულად:** 1. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 4. ეტლიანი ცხენებით, მანქანებით, ველოსიპედებით და ა.შ. შეჯიბრება, 9. თბილისის დინამოელი ვეტერანი ფეხბურთელი, 10. ძველი თაობის მოჭადრაკე, 13. ცნობილი ქართველი ძიუდოისტი, 14. მანქანებით რბოლის მთავარი ტექნიკური საშუალება, 16. გდრ-ის ცნობილი ველომრბოლი, 18. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი მეკარე, 20. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 21. ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ირანის ნაკრების მწვრთნელი.

**შვეულად:** 1. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 2. სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა კლუბ „ბლუბლუზის" მოთამაშე, 3. „ლაციოს" ცნობილი ფეხბურთელი, 5. „ეინდჰოვენის" ფეხბურთელი, 6. ავიაკატასტროფაში დაღუპული ტაშკენტის „ფახთაქორის" ფეხბურთელი, 7. ფეხბურთელი, რომელმაც მხოლოდ 1968-1969 წლებში ითამაშა თბილისის „დინამოში", 8. თბილისის „დინამოს" მოთამაშე 1937-1938 წლებში, 11. თავგადადებული ქომაგი... 12. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 15. ცნობილი უნგრელი ვეტერანი ფეხბურთელი, 17. „ლევერკუზენის" ცნობილი ფეხბურთელი, 19. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი.

**მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ**

### №47 კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. პასი, 4. გაზა, 10. „ბრაგა", 11. ზიკო, 12. ხანტეი, 13. „ყაზბეგი", 14. გო, 15. ჩორთი, 16. ციგა, 17. გოგოლაძე, 21. ლი, 22. ტარტუ, 23. მათრახი, 24. პროსტი, 25. აგასი, 26. ნილი.
**შვეულად:** 2. „სიონი", 5. ზოიძე, 6. გამზირი, 7. „კახეთი", 8. ფილიგრანული, 9. პიერო, 10. ბოყოჩაძე, 12. ხურცილავა, 14. გაგუა, 18. გირი, 19. ლახტი, 20. ეროსი, 22. ტირი, 23. მოა.

### საჭადრაკო ამოცანა



**შამათი 2 სვლაში**

№47-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ე:e6! მუქარა 2. მf4X 1. ... ე:e6 2. ლb7X, 1. ...მფ:e6 2. ლf7X, 1. ...ეg4 2. ლ:f5X.

## ციხე უცხოელებისათვის

ათენში, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ამოქმედდება სპეციალური ციხე უცხოელებისათვის. ამის შესახებ განაცხადა საბერძნეთის იუსტიციის მინისტრმა ანასტასის პაპალიგურასმა. „აგვისტოში ათენს მილიონზე მეტი უცხოელი ეწვევა. არ არის გამორიცხული, მათ შორის კანონის დამრღვევებიც აღმოჩნდნენ. ჩვენ აშშ-ს ძველ სამხედრო ბაზაზე მოვაწყვეთ დროებითი დაკავების ცენტრი," — ამბობს პაპალიგურასი. მანვე უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზემოთ აღნიშნულ სამხედრო ბაზაზე აპირებს იმ მაწანწალებისა და უსახლკაროების განთავსებას, რომელთა განდევნას ათენის ქუჩებიდან მალე დაიწყებენ.

საბერძნეთის იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, რომ უცხოელებისათვის განკუთვნილ ციხეში იდეალურ პირობებს შექმნიან. სულ ციხეს 250 დამნაშავის მიღება შეუძლია.

## ლენს არმსტრონგს ადანაშაულებენ...



**ჟურნალ „ეკიპის" ყოფილმა თანამშრომელმა პიერ ბალესტერმა, „სანდის" მიმომხილველმა დევიდ უოლშმა და ველომრბოლელთა გუნდ „იუ ეს პოსტალის" ყოფილმა მუშაკმა ემა ო'რეილიმ გამოსცეს წიგნი სახელწოდებით — „არმსტრონგის საიდუმლო", რომელშიც ლეგენდარულ ველომრბოლ ლენს არმსტრონგს დოპინგის გამოყენებაში ადანაშაულებენ. თურმე „ტურ დე ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებული, 1998 წელს, ჰოლანდიაში გამართულ ერთ-ერთ ეტაპზე აკრძალულ პრეპარატებს.**

თუკი წიგნში გამოქვეყნებულ ამბებს დავუჯერებთ, როცა ლენს არმსტრონგი ონკოლოგიური დაავადებისგან განიკურნა, ექიმებმა მას წამლების საკმაოდ ფართო სია წარუდგინეს, რომელიც ველომრბოლს ყოველდღიურად უნდა მიეღო. ეს უკანასკნელი ამით სარგებლობდა და ექიმების მენიუს შიგადაშიგ „დაურთავდა" ხოლმე აკრძალულ პრეპარატებს.

გარდა ამისა, ლენს არმსტრონგი არასპორტულ საქციელში ამხილეს. წიგნის ავტორთა მტკიცებით, 1993 წელს არმსტრონგი მოელაპარაკა თავის მეტოქეებს, რომ ამ უკანასკნელთ მისცემდა საპრიზო თანხის ნაწილს, თუ პირველი ადგილის დაკავებაში ხელს არ შეუშლიდნენ. მართლაც, 11 წლის წინ არმსტრონგმა მოიგო ამერიკული სერია და მიიღო 1 მილიონი დოლარი, რომლის ნაწილიც მეტოქეებს გაუნაწილა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე